# ლელო

№202 (12 272)

28 აგვისტო სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ბოისა

ხვალ. ისლანდია-საქართველო

## ბოისა გუნდთანაა

ხვალ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები უმნიშვნელოვანეს, ფრიად საპასუხისმგებლო მატჩს გამართავს. მართალია, მეტოქედ ჩვენზე გაცილებით სუსტი ისლანდია გვყავს, მაგრამ მოდუნება და თავის დაარხეინება არამც და არამც არ შეიძლება. ჩრდილოელებმა ხომ შარშან, რეიკიავიკში კინაღამ ჩვენს უშუალო კონკურენტ ფინეთს მოუგეს. ამას გარდა, საქართველოს ნაკრებს გასვლით მატჩებში ტრადიციულად უჭირს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინა შეხვედრიდან გამომდინარე, გუნდმა, ცოტა არ იყოს, მძიმედ დაიწყო წლევანდელი სეზონი. ვნახოთ, რამხელა პროგრესს აჩვენებენ **კენ შილდსის** შეგირდები ავსტრიასთან რთული მატჩის შემდეგ...

საქართველოს ნაკრები გუშინ საღამოს ჩაფრინდა ისლანდიის დედაქალაქში და სასტუმრო "ფოსში" დაბინავდა. კენ შილდსმა თბილისში დატოვა **გიორგი შერმადინი**, რითაც შემადგენლობაში ადგილი გაუთავისუფლა **ვლადიმერ ბოისას**. პირადი პრობლემების მოგვარების შემდეგ, ბოისა უკვე გუნდთანაა და ხვალ მოედანზეც უნდა გავიდეს.

შორეული მგზავრობით გადაღლილი ჩვენებურები პირველ ვარჯიშს დღეს საღამოს გამართავენ, ხოლო მეორე და უკანასკნელი ვარჯიში დაგეგმილია მატჩის დღეს, ანუ ხვალ დილით. ისლანდია-საქართველოს მატჩი დაიწყება თბილისის დროით 23:15 წუთზე და მისი პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა საზოგადოებრივ მაუწყებელზე შეგვეძლება.

**კობა ხატისაშვილი**




## დომენეკისთვის იტალია არ იქნება

**რაიმონ დომენეკს** იტალიური ფეხბურთის შეურაცხყოფა ძვირად დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ ამასწინათ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა იტალიელებს მსაჯების მოსყიდვაში დასდო ბრალი და კონკრეტული შემთხვევაც მოიყვანა, თუმცა ამის დამადასტურებელი არგუმენტები ვერ წარმოადგინა. ჰოდა, უეფამაც მწვრთნელს შესაბამისი სანქცია გამოუწერა. დომენეკს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და ზედაც 10 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დააკისრეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 8 სექტემბერს, შარშანდელი მუნდიალის ფინალისტთა მილანური დაპირისპირება დომენეკის გარეშე ჩაივლის.

## მალხაზ ჭეიშვილი:

# გვაქვს პროგრესი და დროც, ხარვეზების გამოსასწორებლად

მალხაზ ჭეიშვილი

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 25 აგვისტოს, ბოლო სანწრთნელი შეხვედრა გამართა. ამით მსოფლიო თასისთვის მზადების მესამე ეტაპი დასრულდა. ბორჯღალოსნები ხუთი ამხანაგური შეხვედრიდან ხუთივეში დამარცხდნენ. გუნდის მზადების თაობაზე ნაკრების მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს გუშინ საფრანგეთში დაუკავშირდით.**

- ალბათ გახსოვთ, რომ მსოფლიო თასისთვის მზადება ივლისში, რუმინეთში გამართული ტურნირის შემდეგ, ფიზმომზადებაში დავიწყეთ და სანამ საფრანგეთში გავემგზავრებოდით, მხოლოდ და მხოლოდ, ამ მიმართულებით ვმუშაობდით. აქ ფიზმომზადებასთან ერთად ბურთით ვარჯიშიც დავიწყეთ. საწვრთნელმა თამაშებმა დაგვანახა, რომ პრობლემები სწორედ ბურთთან ურთიერთობაში გვაქვს. კოლექტიურ დაცვაში, ჩვენთვისაც მოულოდნელად, ჩამორჩენილი არ ვყოფილვართ. ერთი ეგაა რამდენიმე მორაგბეს ინდივიდუალურად, ერთი ერთზე თამაში, ბოჭვა უჭირს.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა ვთვლით, რომ პროგრესი გვაქვს. იმ ხარვეზების აღმოსაფხრელად კი რაც ზემოთ მოგახსენეთ, დრო ჯერ კიდევ გვაქვს და ამაში ფრანგი სპეციალისტი ანრი ბრონკანიც გვეხმარება.

**- ბოლო შეხვედრაში "ოშთან" განსაკუთრებით ჩვენს შერკინებას გაუჭირდა. არადა, ეს რგოლი ყველაზე ძლიერია საქართველოს ნაკრებში.**

- აქამდე ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ ჩვენი შერკინება გამორჩეულია თავისი სიძლიერით. აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა. ამ გუნდთან პირველ შეხვედრაში შერკინებას პრობლემა არ ჰქონია. როგორც ჩანს, მას შემდეგ შერკინების ორგანიზებაზე საკმაოდ ბევრი უმუშავიათ. ჩვენამდე ოთხი დღით ადრე, ფიჯის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშეს და მათ შერკინებას პირდაპირ გადაუარეს.

ჩვენი სუსტი თამაშის მიზეზი კი ალბათ უწინარესად ისაა, რომ შერკინების დაზგასთან ცოტა ვიმუშავეთ. ახლა აქ, "ნიმის" ბაზაზე ამ კომპონენტზეც ბევრს ვიმუშავებთ და უფრო დავხვეწთ.

**- მოწინააღმდეგეებს ლელო მეტწილად ჩვენი მორაგბეების მიერ დაშვებული შეცდომების, ბურთის დაკარგვის შემდეგ კონტრშეტევებზე გაჰქონდათ.**

- დიახ, ასე იყო. ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა მატჩის ვიდეოანალიზი გავაკეთეთ. თითოეულ მოთამაშეს ცალ-ცალკე ვუჩვენეთ თავიანთი ნამოქმედარი. ანალიზმა ძალიან კარგად გვიჩვენა ის შეცდომები, რასაც მორაგბეები უშვებენ. აქვე მინდა დავძინო, რომ გვეგონა, საფრანგეთის პირველი დივიზიონის გუნდებთან გაცილებით მეტი სხვაობით დავმარცხდებოდით. გარწმუნებთ, რომ არცერთი შეხვედრა, განსაკუთრებით, კი ბოლო მატჩი "ოშთან" (7:13) წასაგები ნამდვილად არ იყო...

**- მაშინ მარცხის მიზეზი რაღაა?**

- სათამაშო დისციპლინა. მორაგბეები ამა თუ იმ სიტუაციაში არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. დაკარგული ბურთის შემდეგ დაცვის დროული გადაწყობა გვიჭირს. ყოველივე ამაზე ცხადია, საუბარი გვქონდა და მისი გამოსწორების ხერხებზე ყველა მოთამაშე დაგვეთანხმა.

**- ზედიზედ ხუთმა წაგებამ ფსიქოლოგიურად ხომ არ დათრგუნა გუნდი?**

- ცხადია, არცერთი მარცხი სასიამოვნო არაა, მაგრამ ცუდი უნდა დავივიწყოთ და წინ გავიხედოთ. იქ კი მსოფლიო თასის გათამაშაება გველოდება, სადაც ფსიქოლოგიური განწყობაც აბსოლუტურად განსხვავებული იქნება. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ არცერთ შეხვედრაში ერთი და იმავე შემადგენლობით არ გვითამაშია. თავისთავად, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ყველა მორაგბე ასი პროცენტით მზად უნდა იყოს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.kazbegi.com

# გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ევრო 2008. ეროვნული ნაკრები

## ტოპმიოლერი პარასკევს იჭყვის

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს 8 სექტემბერს, უკრაინასთან საშინაო მატჩით განვაახლებთ. **ოლეგ ბლოხინის** გუნდთან შეხვედრიდან 4 დღეში, 12 სექტემბერს, ბაქოში **კლაუს ტოპმიოლერის** კრებული აზერბაიჯანს ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდება. ამ მატჩებისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი მიმდინარე კვირის ბოლოს დაასახელებსო - ეს გასულ პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** განაცხადა. იმავე პრესკონფერენციაზე ამ უკანასკნელმა ისიც თქვა, რომ ეროვნულში ახალი სახეები გამოჩნდებიან. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს თუ რა ცვლილებები მოხდება ნაკრებში და როდის გაცხადდება სანაკრებო სია.

როგორც შევიტყვეთ, კლაუს ტოპმიოლერი ორიოდე დღეში დაბრუნდება თბილისში. პარასკევს პრესკონფერენციას ჩაატარებს და ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობასაც დაასახელებს.

ჩვენი ინფორმაციით, ტოპმიოლერი 8 და 12 სექტემბრის მატჩებისთვის ეროვნულში **მათე ღვინიანიძის, გიორგი ფოფხაძისა** და **გიორგი მერებაშვილის** გამოძახებაზე ფიქრობს. ამასთან, განიხილება 21-წლამდელთა ნაკრებში მოასპარეზე სხვა ფეხბურთელთა კანდიდატურებიც. ტოპმიოლერი ფიქრობს "თუნის" ფორვარდ **სანდრო იაშვილზეც**. თუმცა ისიც იცის, რომ იაშვილს შვეიცარიის ჩემპიონატში გასულ უქმეებზე არ უთამაშია.

**დავით ცაბაძე**

ნოდარ აკობია

საქართველოს თასი.
1/16 ფინალი. განმეორებითი მატჩები

## აკობია სიონიდან დაითხოვეს

### შემცვლელი ისევ ყიფშიძეა

მეორე უმაღლესიგური სამწვრთნელო ცვლილება გუშინ მოხდა. "სიონის" ხელმძღვანელობამ "მაღაროელთან" განცდილი მწარე მარცხის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **ნოდარ აკობია** გაათავისუფლა. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატის გასულ ტურში "ბათუმისთვის" რომ ვერ მოეგო, აკობიას მაშინვე გაუშვებდნენ. "სიონის" მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს კი დროებით **გიორგი ყიფშიძე** შეასრულებს, რომელსაც მსგავს სიტუაციებში გუნდისთვის არაერთხელ უხელმძღვანელია.

გუშინდელი სათასო დღის მთავარი თემა სწორედ ესაა, ისე კი, დანარჩენ მატჩებსაც არ ჩაუვლია უინტერესოდ. ყველაზე დრამატულად მოვლენები მუხრანში განვითარდა, სადაც კაცნაკლულმა "სპარტაკმა" იმდენი მოახერხა, რომ შინ ნაწვნევი 0:2 გააბათილა და მეტოქეს თერთმეტმეტრიანების სერიაშიც აჯობა. ერთი სიტყვით, **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის პროგრესი აშკარაა.

"ვიტ ჯორჯიას" აგარაში გადახდა დიდი ბრძოლა. პირველი ლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა "მეშაქრემ" ვეტერინარებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ უფრო მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ 50-ე წუთიდან "ჯორჯიამ" კაცნაკლულმა ითამაშა - მოედნიდან მეკარე **მიქაბერიძე** გააძევეს.

დანარჩენი წყვილებიდან მეტ-ნაკლები ინტრიგა ორში იყო შემორჩენილი. თუმცა "ლოკომოტივმა" და "მერანმა" ეს ბარიერი დამაჯერებლად გადალახეს. "დილას", "მესხეთს", "ბორჯომსა" და "ბათუმს" კი თავი ქუდში პირველივე მატჩის შემდეგ ჰქონდათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**მაღაროელი-სიონი 5:2**
პირველი მატჩი: 1:0
27 აგვისტო. □იათურა. ცენტრალური
1:0 ხაჭიპერაძე (17), 1:1 ჩასმი (55) 2:1 ქირია (57), 3:1 ილურიძე (62) 3:2 ქარდავა (65. პენ.) 4:2 მუშკუდიანი (71), 5:2 მუშკუდიანი (83)

**მეშაქრე-ვიტ ჯორჯია 1:2**
პირველი მატჩი: 0:1
27 აგვისტო. აბარა. ცენტრალური
0:1 რაზმაძე (9. პენ.), 1:1 ებანოიძე (51 პენ.) 1:2 ბერიაშვილი (85)

**ოლიმპიკი-ლოკომოტივი 1:2**
პირველი მატჩი: 0:1
27 აგვისტო. თბილისი. ოლიმპიკი
1:0 (6), 1:1 გ. კვახაძე (13), 1:2 ჟღენტი (25)

**ზოოვეტი-დილა 0:1**
პირველი მატჩი: 0:4
27 აგვისტო. გორი. თ. ბურჯანაძე
0:1 ი. თაყაძე (78)

**სპური-მესხეთი 0:0**
პირველი მატჩი: 0:10
27 აგვისტო. წალენჯიხა. ცენტრალური

**ჩიხურა-მერანი 0:2**
პირველი მატჩი: 0:1
27 აგვისტო. საჩხერე. ცენტრალური
0:1 ტყეშელაშვილი (18), 0:2 ტყეშელაშვილი (67)

**გაგრა-სპარტაკი ცხ. 0:2/2:3 პ.**
პირველი მატჩი: 2:0
27 აგვისტო. მუხრანი. ცენტრალური
0:1 ჯანელიძე (65) 0:2 ჯანელიძე (87)

**მერანი მარტვილი-ბორჯომი 2:2**
პირველი მატჩი: 0:4
27 აგვისტო. მარტვილი. ცენტრალური

**უნივ. ქუთაისი-ბათუმი 1:0**
პირველი მატჩი: 0:3
27 აგვისტო. ქუთაისი. ცენტრალური

**მგლები-სამგრელია**
პირველი მატჩი: 2:0
29 აგვისტო. ზუგდიდი. ცენტრალური

**დუშეთი-კახეთი**
პირველი მატჩი: 2:3
29 აგვისტო. დუშეთი. ცენტრალური

**ბორჯომი-კოლხეთი**
29 აგვისტო. ქუთაისი. ცენტრალური
(პირველი მატჩი, განმეორებითი 5 სექტემბერს)

**პირველი ლიგა**

| | |
|---|---|
| **კახეთი-ოლიმპი 2** | **0:0** |
| **ნ. დინამო/მერანი 2-დინამო 2** | **0:1** |
| **ვიტ ჯორჯია 2-ამერი 2** | **0:0** |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეშაქრე | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 2. ამერი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. ოლიმპიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 7. ნ.დინ/მერ. 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 8. ოლიმპი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9. კახეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 10. გაგრა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-8 | 1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი ფ. | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. მეშახტე | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3. მაღაროელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 4. უნივერს. ქუთ. | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. მერანი მარტვ. | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. ზესტაფონი 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 7. ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 8. კოლხეთი ხბ. | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 9. სამგრელია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 10. ფაზისი რაჭა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## ქართულმა ფეხბურთმა ვერ დაიბანა

ჩვენი ეროვნული ნაკრების მორიგი ჩაფლავება, ნულოვანი ფრე ლუქსემბურგთან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყურად იღო და დიდმოხელეები ირწმუნებიან, ნაკრებში ბევრი რამ შეიცვლება, გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყება და ჩვენი წადილი ისიც არის, რომ ნაკრებს მომდევნო შესარჩევშიც **კლაუს ტოპმიოლერმა** უხელმძღვანელოსო.

მიჯრით რამდენიმე უსახური მატჩი და განცხადებები, რომ ნაკრებში ზოგი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება საქმეს; ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში ერთხელ და ორჯერ შანსი რომ მიეცემა, ის უნდა გამოიყენოს; რომ ვიღაცა ფეხებს უფრთხილდება; რომ დროა, გუნდში ახალგაზრდებმა ითამაშონ - შეიძლება ითქვას, ასეთია დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორია, წარუმატებლობების ციკლს ყოველთვის მოსდევს ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ამით საქმე ვერ კეთდება.

თუმც ასეთ განცხადებებს ყოველთვის ერთი და იგივე ქმედება როდი მოსდევს. გავიხსენოთ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მაშინ ერთი ამბავი ატყდა, აქაოდა ფეხბურთელებს პატრიოტიზმი აკლიათ, ნაკრებს კი ახალი სისხლიო. მაშინ ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების თავკაცის ერბობლივი პროპაგანდა წარმატებული გამოდგა. ისეც კი მოხდა, რომ მასმედია, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად მწვრთნელსა და ნაკრებში "სტარიკებად" შერაცხულ ფეხბურთელებს შორის მხარედ იქცა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? 0:1 ლიტვასთან, 0:3 საბერძნეთთან, 0:4 უკრაინასთან, 1:4 ნორვეგიასთან და **ვლადიმერ გუცაევი იოჰან ბოსკამპმა** შეცვალა.

მეორე მკვეთრი ქმედება ნაკრებში შარშანწინ მოხდა. **ნოდარ ახალკაცის** გაპრეზიდენტებას ეროვნულ გუნდში **გაიოზ დარსაძის** გამთავარმწვრთნელება მოჰყვა. 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელები პირველ ნაკრებში! ყოველივე დიდ სისულელეს ჰგავდა და აქედანაც ვერაფერი იხეირა ეროვნულმა გუნდმა.

ახლა კი, ვითომ გასამება უნდა მოხდეს? ფეხბურთის ფედერაციისგან და მით უმეტეს, კლაუს ტოპმიოლერისგან ეს დიდი მოულოდნელობა არ უნდა იყოს - ერთს კიდევ ოთხი წლით აქვს გაწაღდებული ქართული ფეხბურთის მართვა, მეორეს კი - კიდევ ორი წლით - ასეთია კონიუნქტურა, რამეთუ მათ მიერ ქართული ფეხბურთის განკარგვა თვით მისი უმაღლესობის სურვილია.

ტოპმიოლერს არაერთხელ უთქვამს, რომ გუნდში შვიდი შეუცვლელი ფეხბურთელი ჰყავს, მათგან ერთმა, **შოთა არველაძემ** უკვე დაასრულა სანაკრებო კარიერა და ტოპის ნაკრებში ახლა ოდენ ექვსი კონსტანტა დარჩა და შესაბამისად, ცვლილება ნახევარ გუნდს, ხუთ ადგილს უნდა შეეხოს. ტოპმიოლერსა და მის თანაშემწეებს ისიც არაერთხელ უთქვამთ, ნაკრებისთვის ყველა საინტერესო ფეხბურთელზე სრული ინფორმაცია გვაქვსო. საინტერესოა, ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ როგორ გაიზარდა ნაკრების კანდიდატთა სია?

ტოპის ისიც ხშირად უთქვამს, რომ საქართველოს ჩემპიონატში სანაკრებო ხარისხის ფეხბურთელები არ ეგულება. ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ ცხადია, იმდენი დრო არ გასულა, რომ ეროვნული ჩემპიონატი მნიშვნელოვნად გამოკეთებულიყო. ისიცაა, რომ აგერ სამი ტური მიილია მეთვრამეტე ეროვნულში და ტოპი ჯერაც არ ჩამოსულა საქართველოში.

არის კიდევ ერთი რესურსი: ტოპი თუ მისი თანაშემწეები ქართველ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად ჯერ არ ჩასულან აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ირანში. სხვათა შორის, ქართველი ფეხბურთელები თურქეთის ქვედა ლიგებშიც თამაშობენ.

მაშ, როგორ უნდა გადახალისდეს ნაკრები? ლოგიკას 21-წლამდელთა ნაკრებამდე მივყავართ. ეს ძალიან მარტივი და სადა საქმეა - მწვრთნელი ათამაშებს ახალგაზრდებს და თუ გუნდს შედეგი არ ექნება, ყოველთვის იქნება თავის გასამართლებელი საბუთი - ჯეელებს ჯერ დაღვინება სჭირდებათ. თუ ტოპმიოლერისა და მისი ინტელექტუალური შტაბის გონება ასე არ არის მოწყობილი, მაშინ საითკენ მივდივართ? განა არ ვიცით, რომ გაახალგაზრდავება შესაძლოა, იყოს კლუბის პოლიტიკა და არა ნაკრების? რომ ნაკრებში რჩეულებმა უნდა ითამაშონ და არა, ეგრეთ წოდებულმა, პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა?

საქართველოს ნაკრებში იცვლებიან მწვრთნელები და ფეხბურთელები, ფეხბურთის ფედერაციაშიც იცვლებიან პრეზიდენტები, მაგრამ ქართულმა ფეხბურთმა ვერა და ვერ დაიბანა, ვერ ჩამორეცხა ბნელი და ბინძური ლაქები და ქომაგმაც ვერ გაიხარა.

არ უნდა გვჭირდებოდეს ძალად პრეზიდენტები და ძალად მწვრთნელები, მაგრამ ხმის ამომღები არავინაა. პრეზიდენტს არჩევნებზე ხმების რაოდენობა ეთვლება, მწვრთნელს - მისი გუნდის მონაგრებული ქულები, მაგრამ ჩვენთან სხვა კრიტერიუმებია, მაგალითად ის, რომ ახლა ნაკრებ გუნდებში საორგანიზაციო საკითხები მაღალ დონეზეა, ფეხბურთელებს კარგი კვება, რეგიანი ეკიპირება აქვთ და ნორმალურ სასტუმროებში უწევთ ცხოვრება.

ხანდახან ისეც ხდება, რომ არაჯანსაღ ნიადაგზე დაწყებული საქმე მაინც გამოდის, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. ვერ გეტყვით, მისტიკაა თუ რაშია საქმე, მაგრამ ქართულ ფეხბურთში ასეთი გამონაკლისები არ მომხდარა. იქნება ამიტომაცაა, რომ ქართულმა ფეხბურთმა ვერ დაიბანა.

**დავით თავართქილაძე**

ГАЗЕТА...
# ყაზბეგი
www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. რაპიდთან საპასუხო მატჩამდე

## მინუს დავით ოდიკაძე და შოთა კაშია

### დინამო ავსტრიას გაფრინდა

დღეს, გამთენიისას თბილისის "დინამო" თბილისი-ვენის ავიარეისით ავსტრიას გაეგზავრა. **დუშან უჰრინის** გუნდი ვენაში, სასტუმრო "შტანბერგერში" დაბინავდება და მზადებას იქ გააგრძელებს. 30 აგვისტოს კი უეფას თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში ვენის "რაპიდს" დაუპირისპირდება. ხუთშაბათის მატჩი **გერჰარდ ჰანაპის** სახელობის სტადიონზე თბილისის დროით 22:30 სთ-ზე დაიწყება. თამაშს კვიპროსელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **პანაიოტის კაილისია**, თანამსაჯები **ვასოს არგიროუ** და **კიპროს ნიკოლაუ**, მეოთხე მსაჯი კი - **პანიკოს ანდრონიკუ**.

გაცნობებთ იმასაც, რომ ბოლო ორი თამაში ორივე მეტოქემ მოიგო. თუ "დინამომ" მოქმედი ჩემპიონი "ოლიმპი" (2:0) და "ბორჯომი" (2:1) დაამარცხა, "რაპიდმა" "ზალცბურგსა" (1:0) და "რიდს" (3:0) სძლია. **პეტერ პაკულტის** გუნდს 8 ტურის შემდეგ 16 ქულა აქვს და "აუსტრიასთან" ერთად პირველ-მეორე ადგილს იყოფს.

ავსტრიაში გამგზავრების წინ "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **დუშან უჰრინს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ "რაპიდთან" თბილისური მატჩის ვიდეოფირი არაერთხელ ვნახეთ. დავრწმუნდით, რომ ეს 0:3 წასაგები თამაში არ ყოფილა. ავსტრიელებმა პირველ ტაიმში ერთხელ დაგვირტყეს კარში. ძალიან გულდაწვეტილი დავრჩით, მით უმეტეს გულშემატკივარი ბოლომდე გვქომაგობდა... თუმცა გუნდებს შორის კლასში სხვაობაც აშკარა იყო, რაღა თქმა უნდა, ვენელთა სასარგებლოდ. "რაპიდი" კარგი გუნდია ვფიქრობ, ამ სეზონში ჩემპიონი თუ არ გახდება, საპრიზო სამეულში ნამდვილად ვიხილავთ.

**- შინ 0:3 წაგების შემდეგ, როგორი ფსიქოლოგიური მდგომარობაა გუნდში?**

- ბუნებრივია, ამ მხრივ ვიმუშავეთ და, ვფიქრობ, ჩვენი გარჯა შედეგსაც გამოიღებს. თუმცა გუნდში სხვა პრობლემებია.

**- რას გულისხმობთ, ტრავმირებულებს?**

- მეკარე დიდიე ოვონო დაშავებულია. სოსო გრიშიკაშვილი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა ჯერ არ აქვს. ავსტრიაში ორი მეკარე, გიორგი ლორია და გიორგი მაკარიძე მიგვყავს. სამწუხაროდ, საზარდულის ტრავმა აქვს დავით ოდიკაძეს, რომელსაც 10 დღე სჭირდება გამოჯანმრთელებისთვის. შოთა კაშიასაც ტკივილები აწუხებს და ათიოდე წუთის წინ მითხრა ექიმმა, რომ ვენაში თამაშს ვერ შეძლებს.

**- დინამოელებმა პოლონეთში 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაშიც იასპარეზეს...**

- დიახ და რამდენადაც ვიცი, კარგადაც წარმოჩნდნენ. მათ ამ თამაშით კიდევ უფრო გაიმდიდრეს გამოდილება.

**- რას უნდა ველოდოთ საპასუხო მატჩში?**

- დანაკლისისა და პრობლემების მიუხედავად, ვენაში საბრძოლოდ მივემგზავრებით და მჯერა, ჩემი ბიჭები ბოლომდე იბრძოლებენ. შინ 0:3 წაგების მიუხედავად, მეტოქეს არ ვუფრთხით და ბოლომდე ვიბრძოლებთ.



დუშან უჰრინი

"დინამო" ავსტრიაში 17 ფეხბურთელით გაეგზავრა:

**მეკარეები:** **გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე**

**მცველები:** **ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, რომან დობეში.**

**ნახევარმცველები:** **დავით დიღმელაშვილი, ლევან ხმალაძე, ნიკა ფირცხალავა, სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, მიხეილ ხუციშვილი.**

**თავდამსხმელები:** **ბორის გონჩაროვი, ჯორჯ აკირემი, ილია სპასოვევიჩი.**

**დავით ცაბაძე**

სტრიტბოლი

## უხვგოლიანი დასაწყისი

გუშინ, **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნულ სტადიონზე სტრიტბოლის ტურნირი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ორგანიზატორები ეროვნული ნაკრების ფანკლუბი და ეროვნული სტადიონია. გათამაშებაში 8 გუნდი მონაწილეობს. ტურნირის გენერალური სპონსორი კი კომპანია "ნატახტარის" ბრენდი "ნატახტარის ლიმონათია", თანასპონსორი - "აგროინვესტბანკი".

გუშინ, 11 საათზე, გათამაშება საზეიმოდ გაიხსნა.

*"როგორც ხედავთ, ბავშვები უზომოდ გახარებულები არიან. ჩვენი კომპანიის ბრენდი "ნატახტარის ლიმონათი" ყოველთვის ბავშვების გვერდითაა. ჩვენ გვინდა, ბავშვებს დიდი სიხარული არაერთხელ ვაჩუქოთ",* - განაცხადა "ნატახტარის" მარკეტინგისა და კომუნიკაციის მენეჯერმა **სანდრო ვაშაკიძემ**.

ეროვნული სტადიონის შეფმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა** კი აღნიშნა:

*"ეს თამაში კომპანია "პუმას" ნოვაციაა და ეს მოედანი-კონსტრუქციაც მას ეკუთვნის. "პუმასთან" თანამშრომლობისას ასეთი ტურნირების ჩატარების გარკვეული გამოცდილება გვაქვს. უფრო მეტიც, ჩვენ გვინდა სტრიტბოლის ტურნირები ეროვნული ნაკრების ყველა საშინაო მატჩის წინ ჩავატაროთ. ამჯერად თბილისელი ბავშვები გათამაშებაში არ მონაწილეობენ, ალბათ ქალაქიდან არიან გასულები და იმიტომ. თუმცა მომდევნო ტურნირებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ".*

გუშინ, გათამაშების პირველი ტური შედგა და 4 მატჩში შემდეგი შედეგები დაფიქსირდა:

**მარტყოფი-ალგეთი 7:6**

გოლები: ბ. ბერიძიშვილი 5, ა. ლეკიშვილი, გ. ეპიტაშვილი (ყველა მარტყოფი), გ. ხარაიშვილი 5, გ. ასანიძე (ყველა ალგეთი).

**ყვინჩილა (ბოლნ.)-ნორიო 11:7**

გოლები: ლ. ბიბილაშვილი 3, დ. ხვადაგიანი 2, ა. მესხი 4, მ. გიორბელაძე, ვ. მარტიაშვილი (ყველა ყვინჩილა), ნ. იმერლიშვილი 2, დ. ქავთარაძე 2, გ. ქავთარაძე 2, ა. სომხიშვილი (ყველა ნორიო).

**იმედი (თელავი)-კრწანისი 5:4**

გოლები: გ. ლოქაფიშვილი 2, გ. პეტრიაშვილი 2, ა. კიკნაძე (ყველა იმედი), გ. ხეცურიანი 2, ბ. გაგნიძე, დ. მაკარიძე (ყველა კრწანისი).

**მგლები (რუს.)-ბივი (თელ.) 11:3**

გოლები: ბ. სამსონია, გ. კანდელაკი 5, ზ. მახარაშვილი 2, ბ. სხილაძე 2, თ. შიუკაშვილი (ყველა მგლები), მ. სუხიტაშვილი 2, ი. კვანჭილაშვილი.

დღეს, 28 აგვისტოს გასამართი თამაშები:

**მარტყოფი-იმედი**
**ალგეთი-კრწანისი**
**ნორიო-ბივი**
**ყვინჩილა-მგლები**

მატჩები 10 საათზე დაიწყება.

ტრანსფერები და ვარაუდები

## მეოთხე კვირკველია

გუშინდელ ნომერში ეროვნული ნაკრებისა და ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ნახევარმცველის, **დავით კვირკველიას**, ინგლისური პრემიერლიგის "სანდერლენდში" შესაძლო ტრანსფერის შესახებ გაცნობეთ. "სანდერლენდისა" და "მერტალურგის", ასევე სხვა უცხოური ვებგვერდები გუშინ კვლავაც არაფერს წერდნენ ამის თაობაზე. როგორც კვირას, გუშინაც გამორთული იყო დათოს უკრაინული ნომერი. "სანერლენდის" ოფიციალურ ვებგვერდზე კი ინფორმაცია გამოჩნდა, რომელიც შესაძლოა, ამ ტრანსფერს უკავშირდებოდეს.

*"როი კინი ახალწვეულებს ასაიდუმლოებს"* – ასეთია ინფორმაციის სათაური...

*"მართალია, ზაფხულის სატრანსფერო პაუზისას 9 ფეხბურთელი დვიმატეთ, მაგრამ არაერთი ფეხბურთელი გვყავს ტრავმირებული. წინ კი გრძელი და მომქანცველი სეზონი გველის. შესაბამისად, კვლავაც გვსურს ახალი მოთამაშეების დამატება. მოკლე ხანში სამ ან ოთხ ფეხბურთელს დავიმატებთ. ისიც კარგად ვიცით, რომ პარასკევს, 31 აგვისტოს, საფრანსფერო პერიოდი მთავრდება და ახალი მოთამაშეების დამატება ამ დღეებში უნდა მოვასწროთ",* - აცხადებს "სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელი **როი კინი**.

სხვა რა გზაა. ჯერჯერობით ეს ცნობა უნდა ვიკმაროთ. შესაძლოა, როი კინის მიერ შეგულებულ 3-4 ფეხბურთელში დავით კვირკველიაც იყოს.

## სანაია და ფანცხავა ლე მანში ჩაირიცხებიან



ამირან სანაია

დღეს, "ზესტაფონის" მცველი **ამირან სანაია** და "გაგრას" ფორვარდი **ვახტანგ ფანცხავა** თბილისიდან საფრანგეთს მიემგზავრებიან. მათი გამგზავრების მიზეზი მოსალოდნელი ტრანსფერია. უფრო სწორედ, ყველაფერი გადაწყვეტილი და შეთანხმებულია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები ფრანგულ "ლე მანთან" 29 აგვისტოს კონტრაქტებს გააფორმებენ. ამ ფეხბურთელების ინტერვიუებს ხვალინდელ ნომერში გაეცნობით.

**დავით ცაბაძე**

## მესხეთში კიდევ ერთი აკოფიანია

უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ახალციხის "მესხეთში" ლეგიონერი გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ "მესხეთის" პრეზიდენტი **გია მესხელი** ჯერ კიდევ თვენახევრის წინ აცხადებდა, რომ სომხეთიდან მინიმუმ ერთი შემტევი ფეხბურთელის მოწვევა სურდა. მართლაც, ახალციხეში 26 წლის ფორვარდი **ჰაიკ აკოფიანი** გამოჩნდა. "მესხეთის" მცველ **ვახტანგ აკოფიანის** დარად, სომხეთის ეროვნულ ნაკრებში მასაც უასპარეზია, მაგრამ ოდენ წლების წინათ.

*"დიახ, ჰაიკ აკოფიანი ახალციხეში ჩამოვიდა. მასთან უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი. ამ ეტაპზე ჰაიკ აკოფიანი ზამთრის პაუზამდე "მესხეთში" ითამაშებს. იმედია ის კარგად წარმოჩნდება, მერე უკვე კონტრაქტის გახალგრძლვებაზეც ვიზრუნებთ. სომხეთიდან მის სატრანსფერო ფურცელს ველით და თუ განცხადში მისი შეყვანა მოვასწარით, "დილასთან" მორიგ ტურშიც შეიძლება ვათამაშოთ",* - თქვა გია მესხელმა.


CDN ჯავჯასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACNRP — ისაუბრე ძეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭვლულად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

დაბრუნება

## დინამო მშობლიურ არენაზე ითამაშებს

უკვე კარგა ხანია, რაც თბილისის "დინამო" საშინაო მატჩებს **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონზე ატარებს. არადა, ამ გუნდის სახელი ტრადიციულად, "ბორის პაიჭაძის" სახელობის არენას უკავშირდება. თუმცა ეროვნულ სტადიონზე ბოლო პერიოდში მხოლოდ ნაკრებები თამაშობენ. ჩვენი ინფორმაციით, პრაქტიკულად გადაწვეტილია, რომ "დინამო" ამიერიდან მშობლიურ არენაზე ჩაატრებს საშინაო შეხვედრებს. როგორც შევიტყვეთ, მხარეებს შორის ამ საკითხში შეთანხმება თითქმის მიღწეულია, ერთი ეგაა, კონტრაქტი დარჩა გასაფორმებელი.

*"თბილისის "დინამოს" მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძეს** უკვე ვესაუბრე, პრაქტიკულად შეთანხმებულები ვართ. კიდევ ერთი შეხვედრა გვინდა და კონტრაქტს გავაფორმებთ. ამით კი ეს თემა ამოიწურება",* - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ეროვნუი სტადიონის ხელმძღვანელმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა**.

დაბოლოს, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ, მე-4 ტურში თბილისის "დინამო" თანაქალაქელ "მერანს" უმასპინძლებს. ეს მატჩი 2 სექტემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა, "რაპიდთან" საპასუხო მატჩის შემდეგ, "დინამო" ავსტრიიდან 1 სექტემბერს დაბრუნდება და "მერანთან" თამაშის გადადება ითხოვა. ეს თხოვნა დაკმაყოფილეს და "დინამო"-"მერანის" მატჩი 3 სექტემბერს, 17 საათზე შედგება. სავარაუდოდ ეს მატჩი ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. III ტური. მიმოხილვა

# გვესაჭიროება რუსულის მასწავლებელი



ალექსანდრე კაიდარაშვილი (ბურთით) — ნუგზარ სუარიძის ფოტო

## ტურის რჩეული

### ალექსანდრე კაიდარაშვილი

...ჟაბუქმა **ლევან ყენიამ** მორიგი საოცრებები "ჩაატარა", უბერებელმა **ზურაბ იონანიძემ** მორიგი "დუბლით" კიდევ ერთხელ მიანიშნა ყველას, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ნომერ პირველი ბომბარდირია; ამპლუაშეცვლილმა **რევაზ გეწაძემ** ლომის წილი შეიტანა "ამერის" დამარცხებაში...

და მაინც, ტურის საუკეთესო ფეხბურთელად უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, ახალციხის "მესხეთის" ფორვარდი **ალექსანდრე კაიდარაშვილი** ვცანით. "მესხეთს" რომ სამი ტურის მერე ორი გამარჯვება აქვს, კაიდარაშვილის დიდი დამსახურებაც არის. აი, ახლაც, ბოლო ტურში, ვინ იფიქრებდა, რომ დებიუტანტი გუნდი სტუმრად შეძლებდა თბილისის "ლოკომოტივის" დამარცხებას? კაიდარაშვილმა ის მატჩი ჩინებულად ჩაატარა: პირველ ტაიმში უაღრესად ხელსაყრელი მომენტი რომ ვერ გამოიყენა, მეორეში თანაგუნდელებს ორი გოლით შეეწია და ტურის მთავარი სენსაციაც რაღა უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებთი ეფექტური (გნებავთ - ლამაზი) კი სტუმართა პირველი გოლი იყო: "მესხეთმა" ჯარიმის უფლება მოიპოვა, ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა მცველს ფეხზე "აეჭრა" და კარისკენ ზურგით მდგარმა კაიდარაშვილმა ჩინებული "მაკრატელათი" გამოცდილ **დავით გვარამაძეს** შანსი აღარ დაუტოვა. "მესხეთის" დაუღალავმა ფორვარდმა სხვა ეპიზოდშიც ივარგა, როცა **ზვიად ჩხეტიანის** ზუსტი პასით გვარამაძესთან პირისპირ დარჩა და უძლიერესი დარტმით თამაშის ბედი გადაწყვიტა.

მესამე ტურის საუკეთესო ფეხბურთელს, 2 სექტემბერს, დაბადების დღე აქვს; სიმბოლურია, რომ თავის 29-ე დაბადების დღეს კაიდარაშვილს გორის "დილასთან" მატჩი ელოდება! იმ გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც შედგა მისი დებიუტი 16 წლის ასაკში და საიდანაც გაიცნო კიდეც ქართველმა გულშემატკივარმა. "დილას" გარდაქ კაიდარაშვილს ზუგდიდის "ოდიშშიც" უთამაშია და უკრაინულ გუნდებშიც ("ნივა" და "კრივბასი"), თბილისის "ლოკომოტივშიც" და "ამერშიც", წინა სეზონი "ბორჯომში" დაასრულა. ამ ჩემპიონატში კი დებიუტანტ "მესხეთში" ჩაირიცხა და განვლილი სამი ტურის მერე უდავო ფაქტის წინაშეც დაგვაყენა ყველა - კაიდარაშვილი გუნდის ლიდერია!

...მესამე ტურის რჩეულზე ერთი ისტორია გვახსენდება. 1998 წელს გორის "დილამ" სენსაცია მოახდინა და თასის ნახევარფინალში გავიდა. უფრო მეტი სენსაცია იყო, როცა "დილამ" ფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა - პირველ ნახევარფინალურ მატჩში სტუმრად დაამარცხა თბილისის "დინამო" (2:1). განმეორებითი შეხვედრის წინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფავორიტი იოლად მოიგებდა შეხვედრას და ამას დინამოელთა მაშინდელი შემადგენლობაც (**ზოიძე, ლობჟანიძე, ცქიტიშვილი, დიდავა, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი, ბურდული**) მოწმობდა. სხვათა შორის, არც "დილას" ჰყავდა მაშინ ურიგო გუნდი (**ჭანტურია, ბალაშვილი, თარხნიშვილი**), მაგრამ იმ წლებში თასის ფინალში თბილისისა და ბათუმის "დინამოს"... "აუცილებლად" უნდა ეთამაშათ! მოკლედ, გორში სავსე ტრიბუნების წინ განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი დაიწყო და ყველა "ელოდა", თუ როდის გაიტანს და ფავორიტი "დინამო" ორ გოლს. ამ დროს კი "კურიოზი" მოხდა - შეცვლაზე შემოსულმა 19 წლის ალექსანდრე კაიდარაშვილმა სტუმართა კარში გოლი გაიტანა! ეგ კი არა, მალე კინაღამ მეორე და მესამეც მიაყოლა... მატჩის დასრულებამდე ბევრი დრო არ იყო დარჩენილი, მაგრამ "დინამომ" "შეუძლებელი შეძლო" და სამი გოლი გაიტანა, რაც ფინალში გასავლელად საკმარისი აღმოჩნდა. ეს ისტორია, ისე, უბრალოდ, გაგვახსენდა...

## ტურის კურიოზი

ხშირად გვსმენია, როცა ქართველ ლეგიონერებს უცხოეთში ენობრივი ბარიერის გამო პრობლემები შექმნიათ. ჰო, არ არის ადვილი ერთ ან ორ კვირაში იმდენი ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური თუ ესპანური შეისწავლო, თანაგუნდელებსა თუ მწვრთნელს თავისუფლად ესაუბრო. ამ "მოდურ" ენებს კიდევ რა უშავს. აგერ, ჩვენი ლეგიონერები შვედეთშიც თამაშობენ და ირანშიც (ადრე ჩინეთშიც გვყავდა!) და იმათ რაღა უნდა თქვან? თუმცა ეს მარტო ქართველების პრობლემა არ არის და უკვე მთელ მსოფლიოშია მიღებული ის ფაქტი, როცა კლუბი თავის უცხოელებისათვის მასწავლებელს ქირაობს. ისე, ბევრი რამ "მოსწავლეზეც" არის დამოკიდებული - რამდენიმე წლის წინათ "დინამოში" **კარლოსი** რომ თამაშობდა, ხომ გახსოვთ? ჰოდა, "კარლოსამ" ერთ-ორ თვეში ქართული სამზარეულოს ნიუანსებისა და მამა-პაპური ლანძღვა-გინების "გარდა, ჩვენებური სიმღერებიც "ფრიადზე" შეისწავლა. ყოველ შემთხვევაში, 2003 წელს, "დინამოს" "საჩემპიონო ბანკეტზე" კარლოსმა ისე "გემრიელად" შეასრულა "ზესტაფონო, გშორდები...", ბევრ ქართველს შეშურდებოდა. თუმცა, საპირისპირო შემთხვევებიც გვახსოვს და ერთ კურიოზსაც გავიხსენებთ. ვლადიკავკაზის "ალანია" რომ დიდების ზენიტში იყო, ქართველი ფეხბურთელების და მთავარი მწვრთნელის **ვალერი გაზაევის** დამსახურება გახლდათ. ყოველი სეზონის დასაწყისში ხუთი-ექვსი ქართველი გასინჯვაზე აუცილებლად უნდა წასულიყო ვლადიკავკაზში. უმრავლესობამ, მართლაც, ჩინებულად ითამაშა ოსურ კლუბში და მერე არანაკლები საზღვარგარეთული კარიერაც ჰქონდათ. ერთ არცთუ ურიგო ფეხბურთელს კი არა და არ აეწყო საქმეები "ალანიაში"; ბიჭს ყველა მონაცემი ჰქონდა, დიდი ფეხბურთი რომ ეთამაშა, მაგრამ "რაღაც" არ ჰყოფნიდა. ბოლოს, გაზაევი იძულებული გახდა ამ ჩვენებურს დამშვიდობებოდა და ისიც კარგად გვახსოვს, თუ როგორ იმართლებდა თავს რუს ჟურნალისტებთან: რა ვქნა, მთელი წელი აქ იყო და ორი სიტყვა რუსული ვერ ისწავლაო...

გაზაევი ახლა მოსკოვშია, იმ ფეხბურთელსაც მომავალში არცთუურიგო კარიერა ჰქონდა, მაგრამ ახლა შავ დღეში... "ოლიმპის" ფეხბურთელები არიან. კარგად მოგეხსენებათ, რომ უკვე ორი კვირაა, რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობამ "ოლიმპის" გაძღოლა უკრაინელ მწვრთნელს **ანატოლი პისკოვეცს** ანდო. გუშინაც ვწერდით, რომ პისკოვეცი მწვრთნელის ღირსებებზე საუბარი ნაადრევია. ერთადერთი ის შევნიშნეთ, რომ "ამერთან" მატჩში ანგარიში სანამ საყაიმო იყო, სათადარიგოთა სკამზე მშვიდად ოჯდა. აი, გაიტანა **რეზო ჯიქიამ** გოლი და სადღა იყო "უკრაინული სიდარბაისლე"? ყველაზე ულამაზოდ ის მოგვეჩვენა, თუ როგორ უყვიროდა პისკოვეცი ხალხის დასანახად სათადარიგო ფეხბურთელებს და... გუნდის ტექნიკურ პერსონალს. თან, წამდაუწუმ მთავრობის ლოჟისკენ აპარებდა თვალს - ნეტავ, ჩემს ასეთ აქტიურობას თუ ამჩნევენო. მაგრამ, მოდით, გულახდილად ვთქვათ: ნამდვილად არ არის ჩვენი საქმე პისკოვეცი ვის და როგორ შენიშვნას მისცემს. მთავარი და, ალბათ, კურიოზზე მეტია, რომ "ოლიმპის" ფეხბურთელთა უმრავლესობა (**სილაგაძის, ჭიჭვეიშვილის** და **ჯიქიას** გარდა) მწვრთნელის მითითებებს ვერ გებულობდა. ჰოდა, იმედია, რომ ჩემპიონი-გუნდის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებისათვის რუსულის მასწავლებელს დაიქირავებს...

**გია ტუხაშვილი**



ანატოლი პისკოვეცი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სევილია. პროგლემეგი ანდალუსიელთა განაკში

# დანიელ ალვეში პრეზიდენტს აუჯანყდა

## ანტონიო პუერტას სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ხეტაფესთან მატჩში მას გული ორჯერ გაუჩერდა...

თანაგუნდელები ანტონიო პუერტას მოსულიერებას ცდილობენ

**დანიელ ალვეში** "სევილიის" ხელმძღვანელობას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ბრაზილიელი მცველის განაწყენებისა და უსაშველო გაცხარების მიზეზი, "სევილიის" პრეზიდენტის მიერ წარმოებული პოლიტიკაა. ალვეშს "ჩელსი" ეპატიჟებოდა და მზადყოფნას გამოთქვამდა, 36 მილიონი ევრო გადაეხადა. დაგვეთანხმებით, ეს იმდენად კოლოსალური თანხაა, რომ ანდალუსიელებს სამხრეთამერიკელი ულაპარაკოდ უნდა გაეყიდათ, თუმცა **ხოსე მარია დელ ნიდომ** აბსოლუტურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და ალვეში ლონდონში არ გაუშვა. არადა, თავად ფეხბურთელს "არისტოკრატებში" თამაში ოცნებად აქვს ქცეული. სენიორ დელ ნიდოს ჭირვეულობით თავმობეზრებულმა ბრიტანელებმა სევილიელ კოლეგებთან მოლაპარაკებები შეწყვიტეს და "ბარსელონიდან" **ჟულიანო ბელეტი** გადაიბირეს. ამით თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ **ჟოზე მოურინიომ** ალვეში კიდევ ერთხელ გაიხსენა და "ჩელსის" შეფებს გადამწყვეტი ბრძოლის წამოწყება სთხოვა. ლონდონელებმა არ დაახანეს და ესპანელებს კიდევ ერთხელ გამოუტყდნენ, რომ მათ ბრაზილიელი მცველის შეძენა სურთ. რაოდენ გამაღიზიანებლადაც არ უნდა ჩანდეს, დელ ნიდომ "არისტოკრატებისგან" კვლავ შორს დაიჭირა საქმე და ამით დანიელ ალვეში საბოლოოდ გადაიმტერა. სამხრეთამერიკელს შესანიშნავად ესმის, "სტემფორდ ბრიჯზე" მას ბევრად მეტ ფულს გადაუხდიან. მას ისიც კარგად ესმის, რომ სატრანსფერო ბაზარი მალე დაიხურება და თუ უახლოეს დღეებში საკითხს ნათელი არ მოეფინება, პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივას ხორცი არ შეესხმება. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ალვეში რადიკალურ ქმედებაზე გადავიდა. მან გუნდთან ერთად ათენსა და მონაკოში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. მოგეხსენებათ, საბერძნეთის დედაქალაქში პირნეელებს ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის განმეორებითი ორთაბრძოლა აქვთ ჩასატარებელი. მონაკოში კი "სევილია" ევროპის სუპერთასისთვის იბრძოლებს.

ალვეშის ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტი აღშფოთებული დარჩა. აი, რა განაცხადა ხოსე მარია დელ ნიდომ: *"ბრაზილიელის ქმედება გამაოგნებელია. ის პატივს არ სცემს საკუთარ თანაგუნდელებსა და იმ კლუბს, რომელიც წლების განმავლობაში სოლიდურ ხელფასს უხდის. ვალდებული ვიყავი, ამ ისტორიის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის მომეთხრო. გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, როგორი ადამიანია დანიელ ალვეში. მისი კომფორტისა და ბედნიერებისთვის აბსოლუტურად ყველაფერს ვაკეთებდით რაც შეგვეძლო, მან კი ასეთი უმადურობით გვიპასუხა. დირექტორატი აუცილებლად შეიკრიბება და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს. "სევილიის" უპატივცემულობასა და აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებთ."*

ექსპერტებს ზუსტი პროგნოზის გაკეთება უჭირთ. მათი მოსაზრებები ორად იყოფა. ნაწილი ფიქრობს, რომ ანდალუსიელები იძულებულები გახდებიან, უკან დაიხიონ და მცველი გაყიდონ. მეორე ნაწილის აზრით კი, ალვეშს მკაცრად დასჯიან და რამდენიმე თვის ხელფასს დაუქვითავენ.

ამასობაში, "სევილიას" კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით უფრო მწვავე და მტკივნეული პრობლემა შეექმნა. შაბათს, "ხეტაფესთან" პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაში **ანტონიო პუერტამ** თავი შეუძლოდ იგრძნო და გონება დაკარგა. რამდენიმეწამიან მონაკვეთში ფეხბურთელს გული ორჯერ გაუჩერდა. ბუნებრივია, **ხუანდე რამოსმა** შეგირდი დაუყოვნებლივ შეცვალა. პუერტა საავადმყოფოში გააქანეს და აღმოაჩინეს, რომ მას ინფარქტი აქვს. ეს მწვავე დაავადება სისხლძარღვების შევიწორებამ და არითმიამ გამოიწვია. სევილიელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი ფეხბურთელი გუშინ რეანიმაციული ბლოკიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაინაცვლებდა, მაგრამ პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. ის, მხოლოდ და მხოლოდ, ხელოვნური აპარატის საშუალებით სუნთქავს და გარე სამყაროსთან კონტაქტში ვერ შედის. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით "ჰოსპიტალ ვირხენ დელ როსიოს" სპიკერის, **ვირხინია არაგონის** განცხადებას გაგაცნობთ: *"გულის შეტევიდან 36 საათის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ამ ეტაპზე ექიმები პროგნოზს ვერ აკეთებენ. მთელი კარდეოლოგიური განყოფილება ფეხზეა, რომ ტრაგედია თავიდან ავიცილოთ, თუმცა მედიცინა ის სფეროა, რომელიც ზუსტ პროგნოზს მართლაც არასოდეს ექვემდებარება. ჯერჯერობით, მხოლოდ ის ხერხდება, რომ არითმია დასტაბილურებულია, თუმცა გულის ფუნქციის აღდგენას დრო და ღმერთის ნება სჭირდება. მოდით, ყველამ ერთად ვილოცოთ."*

ხოსე მარია დელ ნიდო პუერტას პირად ექიმებს შეხვდა და შესთავაზა, თუ საჭიროა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან საუკეთესო კარდეოლოგებს დაგახმართო. ესპანელმა მედიკოსებმა შეთავაზება თავაზიანად არ მიიღეს. მათი თქმით, საქმე არა ექიმების კვალიფიკაციას, არამედ ანტონიოს ორგანიზმის სიმტკიცესა და ბედს შეეხება. კაცმა რომ თქვას, დელ ნიდოს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, სევილიელი კარდეოლოგების პროფესიონალიზმში ეჭვი შეიტანოს. ისინი 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა პაციენტი კომიდან გამოიყვანონ. სენიორ დელ ნიდოს მოწადინება ალბათ, არა სნობიზმით, არამედ შეშფოთებით უნდა ავხსნათ. პრეზიდენტს სურს, გასაჭირში ჩავარდნილ პუერტას მაქსიმალურად დეხმაროს. გუშინ გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექიმები ანტონიოს გადაუდებელი ოპერაციისთვის ამზადებენ...

### მანჩესტერის "ტოტენჰემში" იყო თუ არა პენალტი?

კვირას "მანჩესტერმა" პირველი გამარჯვება მოიპოვა. "ტოტენჰემს" ერთადერთი გოლი **ნანმ** ეფექტური დარტყმით შეუგდო. ნამატჩევს ლონდონელთა თავკაცმა **მარტინ იოლმა** ყურადღება გაამახვილა საკამათო ეპიზოდზე, რომელიც მეტოქის საჯარიმო მოედანში დაფიქსირდა. ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო, როცა **დიმიტარ ბერბატოვის** შეტევისას **ვესლი ბრაუნმა** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა და კუთხურზე გადააგდო. იოლი დარწმუნებული იყო, რომ "მანჩესტერის" მცველმა ხელით ითამაშა: *"რა თქმა უნდა, პენალტი იყო. ეს ყველამ დაინახა. მცველს უფლება არ აქვს, საკუთარ საჯარიმოში მეკარის ფუნქციები შეითავსოს. მიმაჩნია, რომ მსაჯმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. რა გაეწყობა? "ტოტენჰემს" ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს. ისინი პრობლემებს მალე გაუმკლავდებიან."*

**სერ ალექს ფერგიუსონი** კოლეგას, რა თქმა უნდა, არ დეთანხმა. აი, მისი კომენტარი: *"ცოტა გაგვიმართლა, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ "იუნაიტედმა" კარგად ითამაშა და საბოლოო ჯამში, სამართლიანად მოიგო. რაც შეეხება იმ ეპიზოდს. ბრაუნმა მითხრა, რომ ბურთი მკერდში მოხვდა და არა ხელზე. მე ჩემს ფეხბურთელს ვენდობი."*

### ენდი კოული სანდერლენდში ერთი წლით

**ენდი კოულმა** "სანდერლენდთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 35 წლის თავდამსხმელისთვის ეს მერვე პროფესიული კლუბია. მას "ბრისტოლში", "ნიუკასლში", "მანჩესტერ იუნაიტედში", "ბლექბერნში", "ფულჰემში", "მანჩესტერ სიტიში", "პორტსმუთსა" და "ბირმინგემში" უთამაშია. გასულ ზაფხულს კოული "სიტიდან" "პორტსმუთში" გადავიდა. მის სანაცვლოდ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს. ენდი დროის უმეტეს ნაწილს სკამზე ატარებდა. მან ეს საჯაროდ გააპროტესტა. ამიტომ ადგნენ და ნახევარი წელიწადით "ბირმინგემში" გაანათხოვრეს. "ბირმინგემს" მისთვის ხანგრძლივი კონტრაქტი არ შეუთავაზებია. "პორტსმუთმა" კოულის კონტრაქტი ვადაზე (2009) ადრე გაწყვიტა და ფეხბურთელს თავისუფლება მიანიჭა. ასე რომ, "სანდერლენდს" თავდამსხმელში ერთი პენსიც კი არ გადაუხდია. კოულმა პრემიერლიგაში 188 გოლი გაიტანა. ის ლიგის ისტორიაში მეორე საუკეთესო ბომბარდირია **ალან შირერის** შემდეგ.

### პედერსენი ბაიერნსაც მოუნდა

"ბაიერნმა" "ბლექბერნის" მარცხენა ნახევარმცველ **მორტენ გამსტ პედერსენს** დაადგა თვალი. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. გასულ ოთხშაბათს მიუნხენელი სკაუტები ნორვეგიისა და არგენტინის ნაკრებების ამხანაგურ მატჩს დაესწრნენ. 25 წლის ფეხბურთელს "არსენალი", "ტოტენჰემი" და "ასტონ ვილაც" აკვირდებიან. ის დაახლოებით 10 მილიონი გირვანქა ღირს. ფეხბურთელი თანახმაა, "ბლექბერნიდან" წავიდეს, ოღონდ ერთი პირობით: თუ მას უკეთეს ხელფასს გადაუხდიან.

### ვაგნერი 2011 წლამდე

მოსკოვის ცსკამ ახალი კონტრაქტი გაუფორმა ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ **ვაგნერ ლავს**. ის არმიელთა შემადგენლობაში 2011 წლამდე ითამაშებს. ვაგნერს ყოველთვიურად 150 ათას დოლარს გადაუხდიან. აქამდე მისი ხელფასი 95 ათასი დოლარი იყო. ხელშეკრულების გაგრძელების სანაცვლოდ ფეხბურთელს 400 ათასი დოლარიც მიუთვალეს. ძველი კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში იწურებოდა. თავდამსხმელით ევროპის რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული.

პრიმერა დივიზიონი.
ვალენსიური მატჩის გამოხმაურება

# ფიასკო მესტალიაზე

## ვილიარეალს ვალენსიაში სამი წელიწადია, არ წაუგია...

"მესტალიაზე" ფიესტისა და სეზონის პირველი გამარჯვების მომლოდინე გულშემატკივრები ნამდვილი კატასტროფის მოწმენი გახდნენ. "ვალენსიამ" "ვილიარეალთან" მატჩში ცხვირი წაიტეხა. ღამურებმა იმდენად ამაზრზენად ისაპარეზეს, რომ ესპანური პრესის დაუნდობელი კრიტიკა დაიმსახურეს. არადა, როგორც წესი, მასმედიელები პირველი ტურის შემდეგ მძაფრი შეფასებებისგან თავს იკავებენ, თუმცა ამ შემთხვევაში მათ გამონაკლისი დაუშვეს და **კიკე სანჩეს ფლორესის** წინააღმდეგ გაილაშქრეს. მასპინძელთა დამრიგებელს ჟურნალისტებმა არა მარტო ტაქტიკა, არამედ შეგირდების მომზადების დონეც დაუწუნეს. მათი მტკიცებით, "ვალენსიის" მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა ფუნქციურად მოუმზადებელია. კრიტიკა უშუალოდ ფეხბურთელებსაც შეეხოთ. ყველაზე დიდი რისხვა **დავიდ ვილისა** და **ხოაკინს** დაატყდათ. საქმე ის არის, რომ "ვალენსიის" ორმა ლიდერმა დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო. "ვილიარეალს" ცხრა კაცით დარჩენილი მეტოქის დამარცხება, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ **მანუელ პელეგრინის** გუნდს "მესტალიაზე" აგერ უკვე სამი წელიწადია არ წაუგია. ისიც მნიშვნელოვანია, რომ "ვილიარეალმა" გასული სეზონის ბოლო რვა შეხვედრა ზედიზედ მოიგო და ახალი ჩემპიონატიც უაღრესად წარმატებულად დაიწყო. საკვირაო ტრიუმფი **ტომასონის, როსისა** და **კასორლას** გოლებმა განაპირობეს. ცხადია, შეხვედრის შედეგმა მთავარ მწვრთნელებს რადიკალურად განსხვავებული განწყობა მოუტანა. თავდაპირველად, კიკე ფლორესის სიტყვებს გაგაცნობთ: *"მას შემდეგ, რაც დავიდ ვილია მოედნიდან გააგდეს, "ვალენსიამ" საკუთარი თამაში დაკარგა. მოგვიანებით, ხოაკინიც მოვისაკლისეთ. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ორი კაცის გაძევებამ მძიმე დაღი დაგვასვა. მსაჯს შეეძლო, უფრო ლმობიერიც ყოფილიყო. გულშემატკივრებს ამ კრახისთვის ბოდიშს მოვახსენებ. მერწმუნეთ, მომდევნო შეხვედრებში სულ სხვა ფეხბურთს ვაჩვენებთ. დღევანდელისთვის კიდევ ერთხელ დიდ ბოდიშს ვიხდი. მოგვიტევეთ."*

არბიტრმა პერეს ლასამ ვალენსიელებს ორი ფეხბურთელი გაუძევა

რაც შეეხება მანუელ პელეგრინის, უნდა ითქვას, რომ ჩილელმა სპეციალისტმა ცეცხლზე ნავთი დაასხა: *"გულწრფელად რომ მოგახსენოთ, მასპინძლებისგან თავგანწირულ თამაშს ველოდი, მაგრამ ასეთი რამ არავის უნახავს. "ვალენსიას" აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვჯობდით და მიმაჩნია, რომ სრულიად სამართლიანად მოვიგეთ. კოლეგას ვერ დავეთანხმები, ვფიქრობ, ვილია და ხოაკინი დაუმსახურებლად არ გაუგდიათ. მათ შეცდომები დაუშვეს და ძვირი საფასურიც გადაიხადეს. მოკლედ, "ვილიარეალი" დღეს გაცილებით უფრო ძლიერად გამოიყურებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ახალი სეზონი შთამბეჭდავი გამარჯვებით დავიწყეთ."*

სერია A. I ტურის გამოხმაურება

# ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს...

## ეტყობა, აუტანელი სიცხე ტვინზეც მოქმედებს. ანუ, სიცხე მხოლოდ დამარცხებულებისთვისაა?

**მწვრთნელს მწვრთნელისთვის, თამაშის დროს, წიხლი ამოერტყას, ასეთი რამ ჯერ არ გაგვიგია, მათ შორის, საქართველოშიც. თუმცა ერთმა ჩვენმა პატივცემულმა მწვრთნელმა, წლების წინათ, პატივცემულსავე ქართველ ჟურნალისტს რომ ამოსცხო, ცნობილი ამბავია და თვითმხილველიც ბევრი ჰყავს. მაგრამ მწვრთნელს თავის კოლეგაზე გაეწიოს... შელაპარაკება რამდენიც გნებავთ, მაგრამ წიხლი?**

ამაზე გუშინდელ ნომერში, იტალიის ჩემპიონატის პირველი ტურის მიმოხილვაში ვწერდით. -"პარმა"-"კატანიის" მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთ-ერთი ეპიზოდის დროს სტუმართა მწვრთნელმა **სილვიო ბალდინიმ** არბიტრის გადაწყვეტილება ხმამაღალი შეძახილებით გააპროტესტა. მისმა კოლეგა **დომენიკო დი კარლომ** კი სათადარიგო მსაჯთან დაიჩივლა, მეტოქე არბიტრზე ზემოქმედებას ცდილობსო. ცხადია, ეს ბალდინიმაც შენიშნა. ცოტა ხანში, პროტესტისთვის, მას ტრიბუნებისკენ მიუთითეს, დი კარლოზე გაბრაზებულმა კი, ვიდრე საჯარიმო ადგილზე გადაინაცვლებდა, ვიზავის საჯდომზე წიხლი უთავაზა. და რა გამოვიდა? თუ პროტესტისთვის მას მაქსიმუმ ორი მატჩით დასჯიდნენ, ახლა გაცილებით დიდხანს მოუწევს თავისი გუნდის შორიდან მზერა, თუ საერთოდ არ აუკრძალეს პროფესიულ ლიგაში მუშაობა. მატჩის შემდეგ, ბალდინი პრესკონფერენციაზე არ მისულა. "კატანიის" პრეზიდენტმა **ანტონიო პულვირენტიმ** მედიას აუწყა, რომ სინიორ ბალდინი თავის საქციელს ინანიებს, თუმც იქვე დაიჩივლა, რომ მისი გუნდის მწვრთნელს პროვოკაცია მოუწყვეს. მაგრამ ჯერ "პარმის" პრეზიდენტ **ტომაზო გირარდის** კომენტარს გავეცნოთ:

*"ბალდინის უნდა რცხვენოდეს იმის გამო, რაც ჩაიდინა. ის ჩემი კლუბის მწვრთნელი რომ იყოს, პოსტზე ერთ საათსაც არ გავაჩერებდი. 10 წელიწადია ფეხბურთში ვარ და მსგავსი არაფერი მინახავს და არც გამიგონია. უბრალოდ, აღარ მესმის, ამის მერე რაღას ვთხოვთ ფანებს და რას მოველით მათგან"?*

გირარდის მიერ ნასროლი კენჭი მისი კოლეგის ბოსტანში ჩავარდა. "პარმის" პრეზიდენტის სიტყვებს "კატანიის" ბოსი ასე გამოეხმაურა: *"გირარდის კომენტარი? "კატანიის" პრეზიდენტი მე ვარ და არა ის. ამიტომ, მწვრთნელს გავუშვებ თუ არა, ეს ჩემი გადასაწყვეტია. იცით, არა მგონია, რომ რაღაც ექსტრემალური მოხდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მოსაწონი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბალდინის პროვოკაცია მოუწყვეს. მან თავად აღიარა, რომ ცუდად მოიქცა და წუხს კიდეც ამის გამო. როცა ბალდინი თავის ფეხბურთელებს, მოედანზე გასვლის წინ, უკანასკნელ დარიგებებს აძლევდა, "პარმის" მწვრთნელი მათთან ახლოს მივიდა. რატომ? ეს არ იყო მისი საქმე და ბალდინიმ ამაზე მიუთითა კიდეც. მერე რაც მოხდა, სწორედ ამის შედეგი იყო... ჩემი აზრით, სიტუაციის კიდევ უფრო დრამატიზება საჭირო არ არის. ჩვენ კაცები ვართ, სპორტს ვემსახურებით და ხანდახან, ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, თუმცა ვიმეორებ - ამას გამართლება არ აქვს. მოგვეცით საშუალება, ჩვენვე მოვაგვაროთ ეს საქმე და დისკუსიას აქვე მოვრჩეთ".*

აქვე, დაზარალებულ დი კარლოს კომენტარიც: *"მიუხედავად იმისა, რომ არაფერი დამიშავებია, პირველი ვიყავი, ვინც გულშემატკივრებს მომხდარის გამო ბოდიში მოუხადა. შესაძლოა, ძლიერმა სიცხემ ბალდინის ტვინზეც იმოქმედა, მაგრამ ბოდიში მანაც უნდა მოიხადოს".*

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია პარმულ ინცინდენტზე ამ დღეებში იმსჯელებს. საფეხბურთო საზოგადოება ბალდინის მკაცრად დასჯას ითხოვს. არ ვიცით, რა იგულისხმება ამ სიმკაცრეში, მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ მას უმაღლეს დონეზე სამწვრთნელო მოღვაწეობა უნდა აეკრძალოს. შესაძლოა, დაჯარიმდეს კლუბიც (ისევე, როგორც ფანების უსაქციელობის გამო ჯარიმდებიან). აბსოლუტურად სწორად დასვა საკითხი "პარმის" პრეზიდენტმა გირარდიმ - როცა მწვრთნელი ამას აკეთებს, ფანებს რაღა უნდა მოვთხოვოთო. არადა, ამ ფანების პროვოცირებას, ხშირად, სწორედ მწვრთნელთა თუ მოთამაშეთა საქციელიც უწყობს ხელს. და არ დაგვავიწყდეს, რომ საქმე ეხება იმ "კატანიას", რომლის გულშემატკივრებმაც, 2007 წლის 2 თებერვალს, პოლიციელ **მიკელე რაჩიტის** სიცოცხლე შეიწირეს. ამიტომ, თუ კლუბის პრეზიდენტ პულვირენტის სურს, რომ ახალი ლაქა მალევე ჩამოირეცხოს, მწვრთნელი თანამდებობიდან უნდა მოხსნას...

ზემოთ, დი კარლომ სიცხე ახსენა და, ამის გამო, სხვა მწვრთნელებმაც დაიჩივლეს. მაგალითად, "ემპოლის" დამრიგებელმა **ლუიჯი კანიმ** "ფიორენტინასთან" წაგება დიდწილად ამით ახსნა: *"თამაში უფრო კარგი იქნებოდა, რომ არა აუტანელი სიცხე. წარმოუდგენელია, აგვისტოში ფეხბურთის თამაში დღის 3 საათზე, იანვარში კი საღამოთი. მერე ხალხი ჩივის, რატომ არ არის კალჩოში სანახაობაო. რომელ სანახაობაზეა საუბარი ასეთ პირობებში? თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს მარტო სიცხეს ვაბრალებდე მარცხს. "ფიორენტინა" მაღალტექნიკური გუნდია. ჩვენ კი პირველი გოლის შემდეგ მთლიანად მოვიშალეთ".*

პარმული ინციდენტი. ბალდინის ძლივს აკავებენ

კიდევ ერთი ხელმოცარული, ვინც ქულების დაკარგვას მაღალ ტემპერატურას აბრალებდა, "ატალანტის" მწვრთნელი **ლუიჯი დელ ნერი** გახლდათ: *"ძალიან რთული მატჩი იყო. "რეჯინამ" უკეთ ითამაშა თავდასხმაში, "ატალანტამ" კი დაცვაში ივარგა. მართალია, ჩვენი შეტევები არ იყო ისეთი აგრესიული, როგორსაც ვითხოვ, მაგრამ ასეთ სიცხეში ეს გასაკვირი არც არის. საბოლოოდ, ფრე ლოგიკურ შედეგად მიმაჩნია, გამომდინარე იქედან, რაც მოედანზე მოხდა".*

**რობერტო მანჩინი** კი "უდინეზესთან" მოულოდნელ ფრეს გამოუყენებელ მომენტებს აბრალებს: *"ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. რეალური საგოლე შანსები რომ გამოგვეყენებინა, საქმეს პირველ ტაიმშივე მოვამთავრებდით. და კიდევ: აუცილებლად მოვიგებდით, რომ არა ჟულიო სეზარის გაძევება".*

მანჩინიმ უარი თქვა, კომენტარი გაეკეთებინა "ინტერის" სასტარტო შემადგენლობასთან დაკავშირებით. როგორც იცით, მან ძირითადში დააყენა **კრუსი**, მაშინ, როცა **კრესპო** სკამზე დატოვა, ხოლო **ადრიანო** განაცხადსაც არ გააკარა. უცნაურია **სუასოს** ამბავიც. მწვრთნელმა არც ჰონდურასელს მისცა სასტარტოში თამაშის საშუალება, არადა, წინასაჩემპიონატო ტესტმატჩებში, ექსკალიარელი ფორვარდი, ფაქტობრივად, მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. მანჩინიმ ასევე არაფერი თქვა ადრიანოს შესაძლო წასვლაზეც. იტალიურ პრესაში დაიწერა, თითქოს "ინტერი" ბრაზილიელ ფორვარდს "პარმაში" არენდით გადასვლას სთავაზობს. მედიას ეჭვი აქვს, რომ მანჩინისა და ადრიანოს შორის კვლავ "რაღაც" მოხდა. თუმცა თავად ფეხბურთელი, რომელიც "უდინეზესთან" მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, "ენიო ტარდინიზე" დაბრუნების ვარიანტს კატეგორიულად გამორიცხავს: *"არანაირი არენდა და არანაირი "პარმა", აქ ვრჩები".*

"რომამ" ბრწყინვალედ ითამაშა პალერმოში და დაამტკიცა, რომ სკუდეტოს რეალური კანდიდატია. "ჯალოროსიმ" მხოლოდ მინიმალური შანსი დაუტოვა გუნდს, რომელსაც ასევე მაღალ ადგილებზე გასვლას უწინასწარმეტყველებენ. თუმცა **ფრანჩესკო ტოტი,** ემოციურ ქომაგებთან შედარებით, უფრო წინდახედულია და ყველას მოუწოდებს, ეიფორია გვერდით გადადონ: *"სკუდეტო? ეს სიტყვა სტიმულს მაძლევს, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, ჯერ ადრეა. სჯობს, ყურადღება კონკრეტულ თამაშებზე გადავიტანოთ. მთავარია, ვიყოთ ოთხეულში "ინტერთან", "მილანთან" და "იუვესთან" ერთად. ეს არის და ეს".*

"პალერმოს" მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო** კი სტარტზე განცდილი მარცხისგან ტრაგედიას არ ქმნის, მიაჩნია რა, რომ მისმა გუნდმა კარგად (?) ითამაშა: *"ჩემი აზრით, კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. რეალურად, პრობლემები შეგვიქმნა თამაშის დასაწყისშივე გაშვებულმა გოლმა. და როცა ეს "რომასთან" თამაშში ხდება, ძალიან ძნელია ასეთი სიტუაციიდან თავის დაღწევა. ჩვენ სულ სხვა გეგმა მოვამზადეთ, მაგრამ ძალიან მალე მოგვიწია მისი შეცვლა. ვთვლი, რომ მეორე ნახევარში ბედმა სტუმრებს გაუღიმა. ჩემმა ფეხბურთელებმა კი ბევრი შეცდომა დაუშვეს რომაელთა ფლანგური შეტევების დროს. და როცა ამ შეცდომებს უშვებ, ბუნებრივია, რომ ამისთვის საზღაური უნდა გადაიხადო".*

ადრიანო და მისი აგენტი ინტერი-უდინეზეს მატჩზე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რონალდინიო ჩელსიში?

## აბრამოვიჩი საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავს, AS ტრანსფერის მოტივად ესპანეთის საგადასახადო კანონმდებლობას ასახელებს...

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა პარასკევს დაიხურება. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, დარჩენილ სამ დღეში ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს. "დეილი მეილი" **რონალდინიოს** "ჩელსიში" გადასვლას წინასწარმეტყველებს. ამ ინფორმაციას "სანიც" ეხმაურება. ორივე გამოცემისთვის ცნობილი გახდა, რომ რონალდინიოს ბანაკმა თვითონ მოინდომა ლონდონურ გრანდთან დაკავშირება. ფეხბურთელის ძმამ და აგენტმა **რობერტო ასისმა რომან აბრამოვიჩს** თანამშრომლობა შესთავაზა. რუს ოლიგარქს მაცდუნებელი წინადადება უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მან რობერტო ასისი საკუთარ თვითმფრინავით ლონდონში ჩაიყვანა და მეიფეირში, ლეინსბოროს ექსკლუზიურ სასტუმროში დაბინავა. გასულ უქმეებზე აბრამოვიჩი ასისს ორჯერ შეხვდა. ბოლო შეხვედრა ნაითსბრიჯში, "ჩელსის" ბოსის სახლში გაიმართა. აბრამოვიჩმა ბრაზილიელ სტუმარს საკუთარი პირობები შესთავაზა. საუბრის დეტალები უცნობია, თუმცა ბრიტანული ტაბლოიდები ვარაუდობენ, რომ რონალდინიოსთვის შეთავაზებული ხელფასი **ჯონ ტერის** ანაზღაურებაზე მეტი იქნება. "ჩელსის" კაპიტანმა ახლახანს ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი და კვირაში 130 ათასი გირვანქა დაიბევა.

"დეილი მეილი" წერს, რომ რონალდინიოს ბარსელონიდან წაყვანა ადვილი არ იქნება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მასშტაბის ტრანსფერის გასახორციელებლად მეტისმეტად მცირე დროა დარჩენილი. ძნელი იქნება იმიტომაც, რომ ფეხბურთელის გამოსასყიდი ფასი მისივე კონტრაქტითაა გათვალისწინებული. ხელშეკრულებაში, რომელიც 2005 წლის სექტემბერში ხუთი წლის ვადით გაფორმდა, წერია, რომ რონი 85 მილიონი გირვანქა ღირს. ეს თითქმის 150 მილიონი დოლარის ტოლია. აბრამოვიჩს სურს, მისმა გუნდმა უფრო სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს და არა ისეთი, რომლითაც შაბათს "პორტსმუთი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა (ამ გამარჯვებით "არისტოკრატები" ცხრილს სათავეში მოექცნენ).

რონალდინიოს მოსალოდნელ ტრანსფერს ესპანური "ასიც" ეხმაურება. მის სტატიაში ვკითხულობთ, რომ ბრაზილიელს დიახაც სურს ესპანეთიდან აბარგება. ამის მიზეზი კი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაა. გაისად რონალდინიოს ესპანეთში ჩასვლიდან ხუთი წელიწადი შესრულდება. მისი ბარსელონური შემოსავალი თითქმის 17 მილიონი გირვანქაა. მომავალი წლიდან მას მარტო საშემოსავლო გადასახადის სახით 7 მილიონის გადახდა მოუწევს. ფეხბურთელს ამხელა თანხის გადახდა არ სურს. ფინანსური თვალსაზრისით ზუსტად ის დროა, როცა მან ესპანეთიდან აბარგებაზე უნდა იფიქროს. "ჩელსი" შესანიშნავი ვარიანტია. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, მას მაღალი ანაზღაურება გარანტირებული აქვს. "სანის" ცნობით, კატალონიური გრანდი 40 მილიონ გირვანქასაც დათანხმდება. სპეკულაციებს ჯერჯერობით, მხოლოდ "ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** გამოეხმაურა: *"საერთოდ არ გვაღელვებს, რას წერენ გაზეთები. ბაზრის დახურვამდე ერთ კვირაზე ნაკლები რჩება. ეჭვი არ გვეპარება, რომ რონალდინიო ჩვენთან დარჩება. არ მიკვირს, რომ მისი შეძენა ევროპის ყველა დიდ კლუბს სურს, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ ფეხბურთელს "ბარსელონასთან" კონტრაქტი აქვს."*



რიიკაარდმა რონალდინიო, შეიძლება, ვეღარ დააკავოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. მესამე ტურის გამოხმაურება

# მოცელე და იბაჭონე!

## ფიოლერი და ეფენბერგი ამბობენ, რომ ფეხბურთში ყველაფერი მოსულა, ბაიერნი კი ჩივის...

ფრანკ რიბერის შეჩერება მხოლოდ ასეთი ხერხითაა შესაძლებელი

მესამე ტურის შემდეგ, "ბაიერნი" ბუნდესლიგის აბსოლუტური დომინანტია. 3:0 "ჰანოვერთან" - მესამე მოგება მესამე მატჩში, ბურთების შეფარდება: 10:0. ეს კი რეკორდია და ამ რეკორდზე გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. მაგრამ მესამე ტურის შემდეგ, ჩვენი გერმანელი კოლეგები და საფეხბურთო ექსპერტები **ლუკა ტონის, მარკ ვან ბომელისა** და **ჰამით ალთინთოფის** გოლებზე კი არა, თამაშის იმ სასტიკ სტილზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელსაც "ჰანოვერმა" მიუნხენურ გიგანტთან მიმართა. ჰანოვერელები თამაშის წესებს რეგულარულად არღვევდნენ - განსაკუთრებით **ფრანკ რიბერის** წინააღმდეგ, რომელიც რეკორდმაისტერში ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელია. "წითლების" დამრიგებელი **დიტერ ჰეკინგი** ამბობს, სხვა გზა არ გვქონდა, რიბერის მხოლოდ ასე თუ შევაჩერებდითო. გამართლებულია თუ არა ასეთი რამ? შაბათის შემდეგ, მთელი გერმანია ამაზე ბჭობდა.

*"თუ ფეარ პლეის პრინციპებს ყველა გუნდი 100 პროცენტით დაიცავს, ცხადია, რომ რიბერის ვერ შეაჩერებენ. არ დაგიმალავთ, ძალიან მეშინია, რომ ფრანკმა სერიოზული ტრავმა არ მიიღოს. ამიტომაც იყო, მსაჯს რეგულარულად რომ მივუთითებდი, რიბერისთვის მეტი ყურადღება მიექცია. ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ფრანკია, აუცილებლად უნდა დავიცვათ, თორემ მძიმე ტრავმას ვერ გადაურჩება,"* - აცხადებს "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი.**

მატჩის ყველაზე სასტიკი სცენა 44-ე წუთზე დაფიქსირდა: ჰანოვერელმა **ალტინ ლალამ**, რომელიც მანამდე ფრანგ ნახევარმცველს ძალიან ეუხეშებოდა და ერთ-ერთ მომენტში ამისათვის ყვითელი ბარათიც მიიღო, **ზე რობერტო** მოცელა. ჰიტცფელდმა და **ული ჰონესმა** ეს ფაქტი გააპროტესტეს, ლამის მოედანზე შევარდნენ და მსაჯს უყვიროდნენ, თვალები სად გაქვსო. არბიტრმა მიუნხენელთა პროტესტი შეისმინა და ალბანელი მოედნიდან გააძევა.

*"ფეხბურთი ბალეტი არ არის!"* - განრისხებულია ლალა, - *"დარწმუნებული ვარ, რომ მსაჯს ჰონესისა და ჰიტცფელდის შეეშინდა. ამიტომაც გამაძევა, თორემ ისე, მეორე გაფრთხილების მოცემას ნამდვილად არ აპირებდა. როცა ამ "ბაიერნს" მსაჯიც ეხმარება, ცხადია, რომ მეტოქეს არანაირი შანსი არ ექნება!"* ჰეკინგი კი ჰონესისა და ჰიტცფელდს დასჯას ითხოვს, წესები დაარღვიეს, მწვრთნელსა და მენეჯერს მოედანზე არაფერი ესაქმებათ, მსაჯმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიიღოს და მისი გადაწყვეტილებების გაპროტესტება მხოლოდ მატჩის შემდეგაა დაშვებული.

ლეგენდარულმა **უდო ლატეკმა**, რომელიც ტელეკომპანია DSF-ის ექსპერტია, პირდაპირ ეთერში დასძინა: *"როცა ფეხბურთელები გაფრთხილების ან გაძევების მიცემას ითხოვენ, თითქმის ყოველთვის ისჯებიან ხოლმე. ასეთივე კანონი უნდა მოქმედებდეს მწვრთნელისთვის ან გუნდის ხელმძღვანელისთვისაც."* მაგრამ ჰიონესის და ჰიტცფელდის დასჯა, გერმანიის საფეხბურთო კავშირში, რა თქმა უნდა, აზრადაც არავის მოსვლია. სამაგიეროდ, ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან **რუდი ფიოლერი** და **შტეფან ეფენბერგი**, "ბაიერნს" ამ ყველაფრისთვის მაგრად აკრიტიკებენ.

**ფიოლერი**: *"ჩვენ ჭადრაკს ვთამაშობთ? გეკითხებით, ეს ჭადრაკია? თუ ასეა, მაშინ გასაგებია, მაგრამ თუ ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ, აქ გამარჯვებისთვის ნებისმიერი ხერხი მისაღებია - ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ დამნაშავემ იცის, რომ დაისჯება. რიბერიმ შესანიშნავად უწყის, რომ თუ მოწინააღმდეგეების დაცინვას გააგრძელებს, აუცილებლად მოცელავენ. საფრანგეთში მის წინააღმდეგ თამაშის წესებს უფრო ხშირად არღვევდნენ."*

**ეფენბერგი**: *"ფეხბურთში ყველაფერი მოსულა! როცა რიბერი მოწინააღმდეგეებს ასე არცხვენს, ისიც უნდა ესმოდეს, რომ ერთი-ორჯერ ფეხებში მაგრად ჩაარტყამენ. ჩემი აზრით, ასეთი ხერხები გამართლებულია, თანაც, ნებისმიერმა ფეხბურთელმა იცის, რომ ფეხებში სასტიკი ვარდნის შემთხვევაში ან გააფრთხილებენ, ანაც გააძევებენ."*

რუდისა და ეფეს ასეთ გამონათქვამებზე, ჰიონესს ასეთი პასუხი აქვს: *"მსაჯები ძალიან უნდა გამკაცრდნენ, სხვანაირად წარმოუდგენელია. თუ საჭირო იქნება, ერთ გუნდს 7 ან 8 ფეხბურთელიც უნდა გაუძევონ!"*

სხვა გუნდების შეფები, მაგალითად, "შტუტგარტის" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** და "ბოხუმის" მენეჯერი **შტეფან კუნტცი** კი შიშობენ, რომ ამის შემდეგ, მსაჯები მხოლოდ რიბერის მოცელვისთვის გააძევებენ ფეხბურთელებს, უფრო სწორად, ფრანგს უფრო დაიცავენ, ვიდრე სხვა მოთამაშეებს. ჰიტცფელდი კი, ამ ყველაფრის გამო, სულაც თამაშის სტრატეგიის შეცვლას გეგმავს. ოტმარი: *"უფრო სწრაფ ტემპში უნდა ვითამაშოთ, ბურთი დიდხანს არ უნდა ვათრიოთ, არანაირი დრიბლინგები - მაქსიმუმ ორი ან სამი შეხება და მერე აუცილებლად პასი. ასეთ შემთხვევაში, საფრთხე გაცილებით ნაკლები იქნება."* ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბუნდესლიგის საუკეთესო დრიბლიორს კაცის მოტყუება აეკრძალება? სასაცილოა...

■ ■ ■

მესამე ტური, საერთო ჯამში, ძალიან არასპორტული გამოვიდა. პარასკევს, "ბოხუმისა" და "ჰამბურგის" შეხვედრაში (2:1 VFL-ის სასარგებლოდ), "ჰამბურგის" მცველი **ვენსან კომპანი** გააძევეს, რომელიც მომდევნო ტურში, "ბაიერნთან" ვერ იასპარეზებს. ლალას გაძევებაზე უკვე გითხარით. "შტუტგარტისა" და "დუისბურგის" შეხვედრაში, სტუმართა რუმინელმა ნახევარმცველმა **მიჰაი ტარარაჩემ** მიიღო წითელი ბარათი. კვირას კი, "ვოლფსბურგისა" და "შალკეს" მატჩის 51-ე წუთზე, "მგლების" ახალწვეულ **ჟოსუესაც** აუნთეს წითელი, რის გამოც **ფელიქს მაგათის** გუნდმა ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და "შალკესთან" ფრეს დასჯერდა. მაგრამ ეს ყველაფერი როდია: მართალია, მესამე ტურში სხვა არავინ გაუძევებიათ, მაგრამ კიდევ ორი მოთამაშე იმსახურებდა დასჯას. "ბოხუმისა" და "ჰამბურგის" მატჩში, HSV-ს მცველმა **გი დემელმა** ბოხუმელ **ბეხმანს** ფეხი გამიზნულად ჩაარტყა - არადა, მომენტი განმუხტული იყო, ბეხმანი მოედანზე იწვა. შაბათს კი, ნიურნბერგელმა **ივან საენკომ** "ვერდერის" ნახევარმცველ **დანიელ იენსენს** უთავაზა. ორივე ფეხბურთელი დაუსჯელი დარჩა, მაგრამ, როგორც ირკვევა, სასჯელს მაინც ვერ გადაურჩებიან, რადგან ვიდეო-გამეორებაზე ყველაფერი ნათლად ჩანს. საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისია საენკოსა და დემელის საქმეებს განიხილავს.

■ ■ ■

გთავაზობთ საინტერესო სტატისტიკას, რომელიც "ბილდმა" გამოაქვეყნა. რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ ყველაზე ხშირად ამ სეზონში?

**იაროლიმი** (ჰამბურგი) - 17; **ტარარაჩე** (დუისბურგი) - 15; **ჰილბერტი** (შტუტგარტი) - 14; **დიეგო** (ვერდერი) - 14; **ტიფერტი** (დუისბურგი) - 12; **პეტრიჩი** (დორტმუნდი) - 12; **შვაინშტაიგერი** (ბაიერნი) - 12; **ბლაშჩიკოვსკი** (დორტმუნდი) - 11; **იშიაკუ** (დუისბურგი) - 11; **მეირა** (შტუტგარტი) - 11; **რიბერი** (ბაიერნი) - 10; **ტონი** (ბაიერნი) - 10; **შტრაიტი** (აინტრახტი) - 10.

■ ■ ■

ამ ტურში ისიც გამოჩნდა, რომ დორტმუნდის "ბორუსიას" კარგი ფეხბურთის ჩვენებაც შეუძლია. პირველ ტურში ნაჩვენები საშინელი ფეხბურთის შემდეგ, **თომას დოლის** გუნდმა ბოლოს და ბოლოს ის ფეხბურთი ითამაშა, როგორსაც მისგან ფანები ელიან: ლაღი და, რაც მთავარია, უხვგოლიანი. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ BVB-მ კარი მშრალად შეინახა. პირველ ორ თამაშში, **კრისტიან ვიორნსისგან** (35 წლის) და **რობერტ კოვაჩისგან** (33) შემდგარმა დაცვის ბებერმა ცენტრმა 7 გოლი გაუშვა და ცხადი იყო, რომ დოლს რამე უნდა ეღონა. იღონა კიდეც: "კოტბუსთან", კოვაჩის ნაცვლად, 23 წლის **მარკუს ბრჟენსკამ** ითამაშა და დაცვის ხაზი მთელი 5 წლით გაახალგაზრდავა. შედეგმაც არ დააყოვნა: "ბორუსიის" უკანა ხაზი მყარად იდგა. თავად განსაჯეთ, კოტბუსელები მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ დასჯილი **რომან ვაიდენფელერის** ნაცვლად მოთამაშე **მარკ ციგლერის** კარს. რა ეშველება კოვაჩს? მართალია, "ბორუსიის" გენერალური მენეჯერი **ჰანსიოახიმ ვატცკე** ხორვატს მცველს იცავს, წინა სეზონში ხშირად ტრავმირებული იყო და მისი შეცდომები სწორედ ამის ბრალიაო, მაგრამ ამ ეტაპზე ცხადია, რომ რობერტი სკამზე ჯდომისთვისაა განწირული...

**გოტფრიდ ლენცი**

### ტურის ავ-კარგი

**მესამე ტურის გმირი დიეგო ფერნანდო კლიმოვიჩია - დორტმუნდის "ბორუსიის" თავდამსხმელი, რომელიც "კოტბუსთან" თამაშში 46-ე წუთიდან ჩაერთო და დუბლის შესრულება მოახერხა, რითაც BVB-ს ბოლო ადგილისგან თავი დააღწევინა და ვესტფალიური გუნდი "ცოცხლებში" დააბრუნა. არგენტინელმა ფორვარდმა, რომელიც პირველ ორ ტურში საშინლად გამოიყურებოდა, დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია.**
**ანტი-გმირის სტატუსი კი, ამჯერად ჰანოვერელმა ალტინ ლალამ მიიღო, რომელზეც ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ.**

მესამე ტურის სიმბოლური ნაკრები

**მათიას ჰაინი (არმინია) - კრისტიან ლელი (ბაიერნი), ქარიმ ჰაგი (ლევერკუზენი), მარსელ მალტრიტცი (ბოხუმი), დედე (ბორუსია) - ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), ზე რობერტო (ბაიერნი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), იაცეკ კრჟინოვეკი (ვოლფსბურგი) - მარტინ ჰარნიკი (ვერდერი), დიეგო კლიმოვიჩი (ბორუსია).**

ბაიერნი

# პოდოლსკი ბრუნდება, კლოზე?

## ტონი 10 დღე დაისვენებს და შესაძლოა, საფრანგეთთანაც ვერ ითამაშოს...



ჰიტცფელდს პოდოლსკის იმედი აქვს

"ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდს** თავდასხმაში რომ საკადრო პრობლემები აქვს, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველი ინფორმირებულია. შაბათს, "ჰანოვერთან" შეხვედრაში რეკორდმაისტერს **ლუკა ტონიც** დაუშავდა. იტალიელი შესაცვლელი გახდა და ექიმები შიშობდნენ, რომ ლუკამ მყესები გაიწყვიტა, მაგრამ კვირას ჩატარებულმა გამოკვლევამ მიუნხენური გიგანტის ქომაგები დაამშვიდა: ტონის ტრავმა ხერიოზული არ არის. იტალიელი ლაზარეთში დაახლოებით 10 დღეს დაჰყოფს. ითამაშებს თუ არა ტონი ბუნდესლიგის მეოთხე ტურში, "ჰამბურგთან" ჯერ კიდევ საკითხავია. ჰიტცფელდის თქმით, ლუკას თამაში HSV-სთან 80 პროცენტით გამორიცხულია, მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი, რომ მანამდე ფეხზე დადგომა მოასწროს და თამაშიც მოახერხოს. საგონებელშია ჩავარდნილი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რობერტო დონადონიც**, რადგან გამორიცხული არც ისაა, რომ ტონიმ ვერც საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ მოახერხოს თამაში. არადა, ეს მატჩი "სკუადრა აძურასთვის" უმნიშვნელოვანესია.

*"ტონის გამო ძალიან ვნერვიულობდით და კიდევ კარგი, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. "ჰამბურგთან", ალბათ, ვერ ითამაშებს, რაც ჩვენთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. ლუკა, რიბერისთან ერთად, გუნდის უმთავრეს ფიგურად ჩამოყალიბდა, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მას მოედანი ჯერ უგოლოდ არ დაუტოვებია და სამ ტურში უკვე სამი გოლი აქვს, რითაც ბომბარდირთა ცხრილის ერთ-ერთი ლიდერია,"* - ამბობს ჰიტცფელდი.

როგორც იცით, შაბათს, ოტმარმა ტონი ახალგაზრდა **სანდრო ვაგნერით** შეცვალა. ეს იმიტომ, რომ **მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი** და **იან შლაუდრაფი** ტრავმირებულები არიან. მაგრამ რეკორდმაისტერის სამედიცინო შტაბი იმედიანადაა განწყობილი. თუკი პოდოლსკი უკვე სრულად გამოჯანმრთელდა და შაბათს, "ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში ერთი ტაიმი ითამაშა, კლოზე სრული დატვირთვით ჯერ კიდევ ვერ ვარჯიშობს. ჰიტცფელდის თქმით, მირო გუნდს სავარაუდოდ ხუთშაბათს შეუერთდება. თუ ეს ასე მოხდა და კიდევ რაიმე გართულება არ მოჰყვა, კლოზე "ჰამბურგთან" აუცილებლად ითამაშებს. სხვათა შორის, ხუთშაბათს "გენერალი" ლაზარეთიდან **მარსელ იანსენისა** და **ხოსე ერნესტო სოსას** დაბრუნებასაც ელის.

რაც შეეხება პოდოლსკის. "პრინცი პოლდი" "ჰამბურგთან" ალბათ უკვე განაცხადში იქნება. ექსპერტები მის გამოჩენას "ჰანოვერთანაც" ელოდნენ, მაგრამ ჰიტცფელდმა ლუკასი მოყვარულთა გუნდში გადაისროლა - ძირითადი გუნდისთვის ჯერ მზად არ არისო. ამრიგად, პოდოლსკიმ "ბაიერნის" მეორე გუნდში, "შტუტგარტერ კიკერსთან" (რეგიონალლიგა) იასპარეზა, მაგრამ მოედანზე მხოლოდ პირველი 45 წუთი დაჰყო. მართალია, "ბაიერნის" მოყვარულებმა 0:1 წააგეს, მაგრამ, როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, პოდოლსკი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა.

უმძიმესმა გრაფიკმა
დევიდს ძალღონე გამოაცალა

გალაქსი

# კლინსმანი ბექჰემთან?

## დევიდმა დაისვენა, გალაქსიმ კი ისევ დიდი ანგარიშით წააგო...

**იურგენ კლინსმანი** "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" მოლაპარაკებებს მართავს. ამ ინფორმაციას ბრიტანული სააგენტოები ავრცელებენ. 43 წლის კლინსის გერმანიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ არსად უმუშავია. "გალაქსის" ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იურგენი გუნდში დააბრუნონ. დიახ, დააბრუნონ, რადგან 2004 წელს, სანამ კლინსმანი ბუნდესგუნდს ჩაიბარებდა, "გალაქსის" ტექნიკური მრჩეველი იყო. როგორც იცით, კლინსმანი ლოს ანჯელესში ცხოვრობს. მისი ნაკრებიდან წასვლის ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ სურდა, ოჯახი გვერდში ჰყოლოდა. ამ თვალსაზრისით "გალაქსი" იდეალური ვარიანტია.

კვირას "ლოს ანჯელეს გალაქსი" "კოლორადო რეპიდსს" ესტუმრა და ისევ სამი უპასუხო ბურთი მიიღო. ამჯერად, "გალაქსიმ" **დევიდ ბექჰემის** გარეშე ითამაშა. გუნდის კანადელმა თავკაცმა **ფრენკ იალოპმა** ინგლისელ გალაქტიკოს ორდღიანი შვებულება გამოუწერა. მოგეხსენებათ, 32 წლის ნახევარმცველმა გასული ექვსი დღის განმავლობაში სამი მატჩი ჩაატარა, თანაც ორ კონტინენტზე. მან ტრავმა ახლახან მოიშუშა. ამხელა ფიზიკური დატვირთვა ბექჰემისათვის აუტანელი აღმოჩნდა. ხვალ "გალაქსის" მორიგი მატჩი აქვს. ის სუპერლიგის ფინალში მექსიკურ "პაჩუკას" უმასპინძლებს. ბექჰი ამ თამაშისათვის მოემზადება. სუპერლიგაში ამერიკული და მექსიკური კლუბები მონაწილეობენ. ამ ტურნირისაგან განსხვავებით, MLS-ის დასავლეთ კონფერენციაში "გალაქსის" მეორე უსუსტესი შედეგი აქვს: 3 მოგება, 5 ფრე და 10 წაგება.

კიდევ ერთი ინფორმაცია დევიდ და **ვიქტორი** ბექჰემების შესახებ. "სანის" ცნობით, ორმა ძიძამ უარი განაცხადა ვარსკვლავებთან მუშაობაზე და დემონსტრაციულად დატოვა მათი სახლი. ჟურნალისტებთან საუბრისას, მათ თქვეს, რომ ვიქტორია ბექჰემი და მისი დედა **ჯეკი** ისე ეპყრობოდნენ, თითქოს მონები ყოფილიყვნენ. ოდნავ განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს "მირორი". ტაბლოიდის ცნობით, ახალზელანდიელმა **ზარამ** ბექჰემებთან წელიწადზე მეტხანს იმუშავა, ინგლისელმა **კლერმა** კი - მხოლოდ ექვსი თვე. ისინი ბავშვების მომვლელებად დაიქირავეს, მაგრამ ამერიკაში გადასვლის შემდეგ ბავშვების მოვლის გარდა, ყველაფრის გაკეთება უხდებოდათ. მათი ანაზღაურება სოლიდური იყო, მაგრამ ეს სამუშაო უბრალოდ მობეზრდათ.

გაბრიელ ჰაინცე

დაპირისპირება

# ჰაინცე ფერგის წინააღმდეგ

## მანჩესტერის ბოსი ყოფილი შეგირდის განცხადებას ეხმაურება...

**გაბრიელ ჰაინცე** ლივერპულური ტრანსფერის ჩაშლაში **სერ ალექს ფერგიუსონს** ადანაშაულებს. არგენტინელმა მცველმა "მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებელი საჯაროდ გააკრიტიკა: *"ვფიქრობ, უკეთეს მოპყრობას ვიმსახურებდი იმ სამსახურის გამო, რომელიც "მენიუს" სამი წლის განმავლობაში გავუწიე. "იუნაიტედში" რომ დავრჩენილიყავი, დარწმუნებული ვარ, ფერგიუსონი ერთ წუთსაც აღარ მათამაშებდა. იმედია, "იუნაიტედს" ჩეპიონთა ლიგაში შევხვდები. აქვე, მადლობას ვუხდი მანჩესტერელ ფანებს. კარგი იქნებოდა, დირექტორებიც მათსავით გულწრფელნი რომ ყოფილიყვნენ."*

გაბრიელმა ფერგიუსონთან ურთიერთობაზეც ისაუბრა: *"მწვრთნელთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. 2005 წლის სექტემბერში მძიმე ტრავმა მივიღე. მთელი სეზონი გამიცდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც გავემგზავრე. ფერგიუსონი ჩემი მუნდიალზე წასვლის წინააღმდეგი იყო და ეს არ მაპატია."*

მოგეხსენებათ, ჰაინცე "რეალში" ჩაირიცხა. მას "ატლეტიკოსთან" პირველი ტურის მატჩში არ უთამაშია. მადრიდში ტრანსფერამდე გაბრიელს "ლივერპული" ეპატიჟებოდა. მერსისაიდელები კონტრაქტით გათვალისწინებულ სატრანსფერო თანხას, 6.8 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, მაგრამ "იუნაიტედმა " მათთან გარიგება არ ისურვა. პრემიერლიგამ დაადგინა, რომ თუ "მანჩესტერი" წინააღმდეგი იყო, ვერავინ აიძულებდა ფეხბურთელის გაყიდვას. საბოლოოდ ჰაინცე მადრიდში აღმოჩნდა.

ფერგიუსონი არგენტინელის განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: *"გაბი მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაშავებული ჩამოვიდა. ჩვენ მის მკურნალობას შევუდექით. სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში ჰაინცეს აგენტი განუწყვეტლივ ურეკავდა დევიდ გილს ("იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი) და კონტრაქტის პირობების გადახედვას მოითხოვდა. მას კარგი ხელფასი დავუნიშნეთ, მაგრამ ფეხბურთელს ორჯერ მეტი სურდა. აგენტი ითხოვდა, რომ მისი კლიენტი "მანჩესტერის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე ყოფილიყო. ეს კი არარეალური მოთხოვნა იყო."*



სვენს გუნდის დაკომპლექტება
ჯერ არ დაუსრულებია

მანჩესტერ სიტი. ტრანსფერები

# აბონდანსიერიმ მანჩესტერს რომი არჩია

## ახალი კონტრაქტი რიჩარდსს და ნუნუ გომეში სვენის სამიზნეში...

არგენტინელმა მეკარემ **რობერტო აბონდანსიერიმ** "მანჩესტერ სიტის" უარი შეუთვალა. ინგლისელებმა "ხეტაფესთან" იოლად გამონახეს საერთო ენა. ესპანური კლუბი თანახმა იყო, ფეხბურთელი 2.5 მილიონ გირვანქად გაეყიდა, მაგრამ აბონდანსიერიმ მანჩესტერი შორს დაიჭირა. მას "ლაციოც" ეპატიჟება. "ასის" ცნობით, გოლკიპერს რომში გადასვლა სურს. რომაელები 3.5 მილიონ ევროს იხდიან. ერთი თვის წინ "ბიანკოჩელესტემ" კიდევ ერთი არგენტინელი მეკარე, **ოსკარ უსტარი** შეიძინა.

დავუბრუნდეთ "სიტის". "დეილი მირორის" ცნობით, კლუბი ახალ კონტრაქტს შესთავაზებს 19 წლის მცველ **მიკა რიჩარდსს**. ოთხწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ ფეხბურთელი 10.4 მილიონ გირვანქას გააკეთებს. ეს კვირაში 50 ათასი გირვანქის ტოლია. რიჩარდსი "სიტის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ხდება. რიჩარდსი შარშანდელი სეზონის აღმოჩენა იყო. წელს კი მას უკვე ჩამოყალიბებულ ვარსკვლავად თვლიან. მიკა ინგლისის ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელი ხდება. ვარაუდობენ, რომ გაისად მის ხელში ჩაგდებას ინგლისური გრანდები მოინდომებენ. ახალი კონტრაქტი ფეხბურთელის შენარჩუნების ერთ-ერთი გზაა. დოკუმენტით მისი გამოსასყიდი ფასიც განისაზღვრება - დაახლოებით 30 მილიონი გირვანქა.

და კიდევ, "დეილი მირორის" იუწყება, რომ "სიტის" "ბენფიკისა" და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი **ნუნუ გომეში** სურს. **სვენ გორან ერიქსონი** 31 წლის ფეხბურთელს დაშავებული **ვალერი ბოჟინოვის** შემცვლელად მოიაზრებს. გომეშის ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ მაღალია. იქამდე "სიტიმ" **ნიკოლა ანელკას** კანდიდატურა განიხილა. ფრანგმა ფორვარდმა სამწლიანი კონტრაქტი და წლიურად 2.5 მილიონი გირვანქა მოითხოვა. კვლავ დღის წესრიგშია "სელტის" ნახევარმცველ **ბორხა ოუბინიას** ტრანსფერი, რომელიც 7 მილიონი გირვანქა ღირს. ამ ბიჭზე **ხოსე ანტონიო კამაჩოც** აცხადებს პრეტენზიას. მოგეხსენებათ, ერთი კვირის წინათ ესპანელი მწვრთნელი "ბენფიკაში" დანიშნეს.

## ვალენსიამ ბენფიკელი ნახევარმცველი დაიმატა

"ვალენსია" "ბენფიკისა" და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ **ანელ ფერნანდესს** ყიდულობს. გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ "ღამურებს" 21 წლის ფეხბურთელი 12-15 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ფერნანდესი "ბენფიკის" სკოლის აღზრდილია. მან გასული სეზონი იჯარით "პორტსმუთსა" და "ევერტონში" გაატარა. ევერტონელებს მანუელის შეძენა სურდათ, მაგრამ "ვალენსიამ" ლისაბონელებს უკეთესი პირობები შესთავაზა.

## კორინთიანსი უმწვრთნელოდ დარჩა

"კორინთიანსმა" მთავარი მწვრთნელი **პაულუ სესარ კარპეჯანი** დაითხოვა. ამ უქმეებზე ბრაზილიის უმდიდრესმა კლუბმა "კრუზეიროსთან" 0:3 წააგო და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. "კორინთიანსს" 20 ტურის შემდეგ 20-გუნდიან უმაღლეს დივიზიონში მე-14 ადგილი უკავია. კარპეჯანიმ, რომელიც 1998 წლის მუნდიალზე პარაგვაელთა დამრიგებელი იყო, საპატიო პოსტზე მხოლოდ 23 თამაში ჩაატარა. ის 29-ე სპეციალისტია, რომელიც მიმდინარე სეზონში ბრაზილიის ელიტული ლიგის კლუბებიდან მიაბრძანეს.

## ლოკომოტივი ბიშოვეცს დაითხოვს

მოსკოვის "ლოკომოტივმა" ისევ წააგო, ამჯერად რამენსკოეს "სატურნთან" 0:2. თამაშის დასრულებისთანავე კლუბის დირექტორებმა საგანგებო სხდომა გამართეს. ხუთიდან ოთხმა დირექტორმა მთავარი მწვრთნელის **ანატოლი ბიშოვეცის** დათხოვნას დაუჭირა მხარი. ამავე აზრისაა რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელი **ვლადიმირ იაკუნინი**, რომელიც კლუბის არაოფიციალური პრეზიდენტია. ბოშოვეცის წასვლის შემთხვევაში, "ლოკომოტივს" სეზონის ბოლომდე სათადარიგო გუნდის თავკაცი **რინატ ბილიალეტდინოვი** ჩაიბარებს. ის მოსკოველთა ნახევარმცველ **დინიარ ბილიალეტდინოვის** მამაა. გამორიცხული არაა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ამ სპეციალისტს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმონ.

## ქალბატონი ბურამს უხმობს

სერია A-ში დაბრუნებული "იუვენტუსი" დიდი ხანია დაცვის გაძლიერებას ეშურება. ამისთვის მას "ბარსელონიდან" **ლილიან ტურამის** დაბრუნება სურს. მეორე ფრანგმა **ჟან-ალენ ბუმსონგმა** აშკარად ვერ გაამართლა. თუმცა, გასაკვირია და, მის გადაბირებას იგივე "ბარსელონა" ცდილობს. როგორც ინფორმაციის წყარო ამტკიცებს, ლილიანი იტალიაში უფასოდ გადავა და მისი ხელფასის ნაწილი ზუსტად იმ ფულით დაიფარება, რაც კლუბს ბუმსონგის გაყიდვით გაუჩნდება.

## კელერი ალბიონზე დაბრუნდა

"ფულჰემმა" მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" ამერიკის ნაკრების კარის დარაჯი **კეისი კელერი** გადაიბირა. ამ უკანასკნელს კარიერის დიდი ნაწილი სწორედ კუნძულზე აქვს გატარებული: "მილუოლში", "ლესტერში", "ტოტენჰემსა" და "საუთჰემპტონში". ამას გარდა, მადრიდული "რაიო ვალეკანოშიც" უთამაშია. *"გვიხარია, რომ კეისიმ ჩვენთან თამაში გადაწყვიტა. იმის გათვალისწინებით, რომ ანტი ნიემი ტრავმირებულია, მეკარის პოზიცია უცილობელ და დაუყოვნებელ გაძლიერებას ითხოვდა. და აი, ისიც, მიზანი მიღწეულია,"* - განაცხადა "ფულჰემის" დამრიგებელმა **ლორი სანჩესმა**. ამერიკელმა მეკარემ სადებიუტო მატჩი შაბათს "ასტონ ვილასთან" ჩაატარა. მისმა გუნდმა 1:2 წააგო.

## ლევერკუზენი ბულიკინს იტოვებს

26 წლის რუსი თავდამსხმელი **დმიტრი ბულიკინი** კარიერას "ლევერკუზენში" გააგრძელებს. ის "ბაიერში" სინჯებზე იმყოფებოდა და მართალია, საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ "ფარმაცევტების" მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** მისი დატოვება მაინც გადაწყვიტა. ბულიკინმა ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა და თუკი ლუქსემბურგის ნაკრებთან ასე თუ ისე კარგად ითამაშა (3:1 "ლევერკუზენის" სასარგებლოდ), "დუისბურგთან" ძალიან სუსტი იყო. მიუხედავად ამისა, "ბაიერი" მას კონტრაქტს 2008 წლამდე უფორმებს. რუსს ძალიან პატარა ხელფასი ექნება, მაგრამ თუ ძირითად შემადგენლობაში ფეხს მოიკიდებს, სოლიდურ პრემიას მიიღებს. ბულიკინს რუსეთის ეროვნულ გუნდში 15 მატჩი აქვს ჩატარებული. ის "ლევერკუზენში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის.

ლანსი

# რუ პაპენმა შეცვალა



ჟან პიერ პაპენი

"ლანსის" მთავარ მწვრთნელად **ჟან პიერ პაპენი** დაინიშნა. მან ამ პოსტზე ვეტერანი **გი რუ** შეცვალა. მოსიე რუ შაბათს "სტრასბურთან" 1:2 წაგების შემდეგ გადადგა. მან ამ პოსტზე ოთხი მატჩი გაძლო. ლანსელებმა 12 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულა მოიპოვეს და ბოლოდან მეორე საფეხურზე იმყოფებიან. პაპენმა პირველი ვარჯიში გუშინ ჩაატარა. გი რუმ "ლანსის" დირექტორთა არჩევანი მოიწონა და თავის შემცვლელს წარმატებები უსურვა. 43 წლის პაპენი 1990-იანი წლების ფრანგული ფეხბურთის გამორჩეული ვარსკვლავია. მან "მარსელში", "მილანსა" და "ბაიერნში" ითამაშა. საფრანგეთის ნაკრებში კი 54 მატჩი ჩაატარა და 30 გოლი შეაგდო. პენსიაში გასვლის შემდეგ მან მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და შარშან "სტრასბური" პირველ ლიგაში გადაიყვანა. 68 წლის გი რუს მწვრთნელობისათვის თავი ჰქონდა დანებებული. მაგრამ ამ ზაფხულს "ლანსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოთხი ტურის შემდეგ მან თქვა, რომ ფეხბურთში დაბრუნება შეცდომა იყო და გადადგომის განცხადება დანერა. მოსიე რუმ "ოსერში" 44-წლიანი მოღვაწეობით (1961-2005) გაითქვა სახელი. მან ამ პატარა პროვინციულ კლუბს 1996 წელს საფრანგეთის ჩემპიონატი მოაგებინა, ხოლო 1994, 1996, 2003 და 2005 წლებში საფრანგეთის თასზე გაამარჯვებინა.

ჰელათგურთი

# კარგი წინათგრძნობა მაქვს

## ზაზა ფაჩულია: ნაკრები ევროპაზე, ატლანტა ფლეი ოფში

ატლანტელები ზაზა ფაჩულიას თამაშს ევროპაშიც თვალ-ყურს ადევნებენ. ჟორჟიულ გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" "ჰოქსის" ქართველ ცენტრთან გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც ზაზა ეროვნული ნაკრების ამბებზეც ვრცლად საბურობს და "ატლანტას" პერსპექტივებზეც ამახვილებს ყურადღებას. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება რა მოუთხრო ზაზა ფაჩულიამ ჟურნალისტს ევროპიდან სეკუ სმიტს.

**- ზაფხულში NBA-ს ყველა კალათბურთელი ისვენებს, შენ კი ამ სიცხეში "ჰოქსის" "ფილიპს არენაზე" ვარჯიშობდი. რა იყო ამის მიზეზი?**

- ივნის-ივლისში შტატებში ჩემს პერსონალურ მწვრთნელთან ერთად ვმუშაობდი, ნაკრებისთვის ვემზადებოდი. ივლისის ბოლოს საქართველოს ეროვნულ გუნდს შევუერთდი და მასთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში გავაგრძელე. ნაკრებთან ერთად საერთაშორისო ტუნნირი ვითამაშე, ხოლო ოფიციალური შეკრება საფრანგეთში გავიარე. სხვათა შორის, ყოველ წელს ამ გრაფიკით ვვარჯიშობ. რაც მეხმარება ეროვნული გუნდის მატჩებსაც მომზადებული შევხვდე და NBA-ს მორიგ სეზონსაც.

**- საერთშაორისო ტურნირი ახსენე. ამ შეჯიბრებაში როგორ იასპაეზე?**

- ბულგარეთში სამი შეხვედრა ჩავატარეთ. პირველში 21 ქულა ჩავაგდე, მოერეში - 39, მესამეში - 37. ახლა თავად განსაჯეთ, როგორ ვითამაშე (იცინის). მართლაც ბევრი ვიმუშავე და, ვფიქრობ, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიე. საკონტრლო მატჩები დამეხმარა დამენახა რა კომპონენტი დავხვეწე და კიდევ რაზე მაქვს სამუშაო. გამოცდილება საკმარისად დამიგროვდა და შემიძლია "ჰოქსის" თავკაცი მაიკ ვუდსონი დავარწმუნო, რომ გუნდის შეკრებისთვის უკვე მზად ვარ.

**- "ატლანტას" ხელმძღვანელობამ სხვა ცენტრის ძიება არ ისურვა. როგორ ფიქრობ, შეძლებ წინა ხაზში გუნდის თამაშს მარტო გაუძღვე?**

- უფროსობამ კარგად იცის რა შემიძლია. ორი წელია "ჰოქსის" მაისური მაცვია და ყველა კარგად მიცნობს. არ ვიცი, სხვა რას ფიქრობს, ცენტრს რატომ არ იმატებენ, სამაგიეროდ, ჩემი საქმე ვიცი - ვმუშაობ, რათა თამაში დღითიდღე გავაუმჯობესო. მზად ვარ, კიდევ უფრო უკეთე გავისარჯო, ვიდრე ამას აქამდე ვაკეთებდი. აესვე "ატლანტასთან" ერთად ფლეი ოფში სათამაშოდ ვემზადები. მოკლედ, თავსაც კარგად ვგრძნობ და მჯერა, რომ გუნდიც შარშანდელზე უკეთესი გვეყოლება.

**- ფლეი ოფი? აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდები "ატლანტასთან" შედარებით ერთი-ორად გაძლიერდნენ...**

- ვიცი, ცხოვრებაში იოლად ვერაფერს მიაღწევ. ამას ჩვენც ვაცნობიერებთ და ამიტომ ვმუშაობთ საკუთარ თავზე. ვფიქრობ, ჩვენი პლუსი ისაა, რასაც სხვები მინუსად მიიჩნევენ - ახალგაზრდული ასაკი. სხვებთან შედარებით ახალგაზრდული გუნდი გვყავს, მაგრამ "ატლანტა" ხომ ყოველწლიურად პროგრესირებს. მგონია, რომ ფლეი ოფში მოხვედრისთვის საკმარისი გამოცდილება უკვე დავაგროვეთ. მთავარი პლუსი კი შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების ნაკლებობაა - შარშანდელი სეზონის შედმეგ ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია და წესით NBA-ში ერთ-ერთ ყველაზე შეკრული გუნდი უნდა გვყავდეს.

**- ფიქრობ, რომ ისეთი ახალგაზრდული კოლექტივი, როგორიც "ატლანტაა" მზადაა ფლეი ოფში სათამაშოდ?**

- 30 წელის შესრულებას ვერც ერთი მოთამაშე ვერ დაუცდის, თუმცაღა დრო სწრაფად გადის... "ატლანტაში" უმეტესად 21, 22 და 23 წლის ბიჭები ვართ და სწორედ ამ ასაკში რამის მიღწევა უნდა გახდეს წარმატებული კარიერის საწინდარი. ჩემს მაგალითს გეტყვით - NBA-ში მეხუთე სეზონს ვიწყებ და ფლეი ოფში ერთხელაც რა მითამაშია. ვფიქრობ, ამისთვის უკვე მზად ვარ.

**- შარშან შუა სეზონში ძირითადი შემადგენლობიდან დროებით ამოვარდი. ზაფხულში ვარჯიშისას სათადარიგოთა სკამზე დასმის მიზეზებს თუ იხსენებდი?**

- ვიცი, რომ მუშაობა მჭირდება დაცვაზე და დაცვით მოხსნებზე, ისევე, როგორც ყველა სხვა კომპონენტზე. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. არნოლდ შვარცენეგერივით კუნთები არ მაქვს, მაგრამ ძალა არ მაკლია. დაცვასა და კუნთების მომატებაზე კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო, რადგან NBA-ში ბევრ რამეს წყვეტს ფარქვეშ, სამწამიან ზონაში დამაჯერებელი თამაში.

**- როგორ ფიქრობ, "ატლანტას" ახალ სეზონში ყველაზე მეტად ვინ გააძლიერებს?**

- სპიდი კლექსტონისგან მეტს ანდა ველოდოთ, რადგან მას წინა სეზონში მიღებულმა ტრავმამ შესაძლებლობების ჩვენების საშუალება არ მისცა. იგივე შეიძლება ითქვას მერვინ უილიამსზე. მასაც ტრავმა ჰქონდა, მართალია, სეზონის ბოლოს მომჯობინდა, მაგრამ ოპტიმალური ფორმის აღდგენა ვერ მოახერხა. ამ დუეტისგან წლეულს ბევრს ველი. ისიც ვიცი, რომ ჯოშ სმიტი ჰიუსტონში ინდივიდუალურად კარგად ვარჯიშობს და შარშანდელზე უკეთესი უნდა იყოს. ჯო ჯონსონი ხომ ყოველთვის სერიოზულად ემზადება. მოკლედ, ყველამ უნდა მოუმატოს და ამიტომაც მაქვს წარმატების იმედი.

**- წარმატებებზე თამამად საუბრობ. რა იცი ისეთი, რაც სხვა ატლანტელებმა არ ვიცით?**

- წინათგრძნობა მაქვს, რომ კარგი სეზონი გვექნება. ვგრძნობ, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფში ოთხივე შეხვედრას მოიგებს და ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშებს. ასევე მგონია, რომ "ჰოქსი" ფლეი ოფში აუცილებლად მოხვდება. მინდა, რომ უკეთესად აგიხსნა, რატომ ვგრძნობ ასე, მაგრამ სიტყვით გამოთქმა მიჭირს. ვერ ვიტყვი, რატომ, მაგრამ ასეა... ოღონდ ბევრი შრომა მოგვიწევს.

სუმო

სექტემბრის ბაშოს წინ

# კოკაი მეთორმეტეა

2003 წლის დეკემბერში ძურიოს დივიზიონის გამარჯვებული **კოკაი ფუტოში (ლევან ცაგურია)** ახალი რეიტინგის მიხედვით ელიტარული მაკუუჩის დივიზიონის ბინადარი გახდა, მაშინვე კოკაის მეათე მაეგაშირას რანგი მიანიჭეს. მას შემდეგ კოკაი კომუსუბიც გახდა, მეათე მაეგაშირაზე დაბლა კი არასოდეს ჯაშვებულა რეიტინგში. გუშინ გამოქვეყნებულმა ბანძუკემ კი ქართველის უკუსვლა ნათლად გამოაჩინა - კოკაი აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირაა. ივლისის ბაშო მან 6-9 ბალანსით დაასრულა და მეცხრედან მეთორმეტე საფეხურზე ჩამოქვეითდა. გუშინვე ტრადიციული აწონვაც შედგა, 26 წლის კოკაი 189 სმ. სიმაღლისაა და 148 კილოს იწონის. მაკუუჩის დივიზიონში მისი რეკორდი უკვე უარყოფითია 160 მოგება 170 მარცხის სანინააღმდეგოდ.

ორი ბაშოთი დისკვალიფიცირებული **ასაშორიუ** და მისი თანამემამულე **ჰაკუჰო** იოკოძუნას ტიტულს ატარებენ, ოძეკი კი ოთხია, იაპონელი **კოტომიცუკი** პირველად იასპარეზებს ჩემპიონის ტიტულით. ორივე სეკივაკე დებიუტანტია ამ რანგში, **ამინიშიკი** და მონღოლი **ასასეკირიუ**. კომუსუბის ტიტულით **კისენოსატო** და მონღოლი **ამა** იჭიდავებენ. მაკუუჩის დივიზიონში მხოლოდ ერთი დებიუტანტია - **გოეიდო**.

სექტემბრის ბაშო ტოკიოში 9-23 სექტემბერს გაიმართება. მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს ასაშორიუ, რომელსაც ფეხბურთის თამაშის გამო დისკვალიფიკაცია მისცეს. მესამე დივიზიონ მაკუუჩიტაში უკვე მეექვსე ნომერია **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რაც მას ძურიოში დაწინაურების შანსს აძლევს. **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** მაკუუჩიტას 48-ე ნომერია. 19 წლის ტოჩინოშინი 190 სმ. სიმაღლისაა და 136 კილოს იწონის. 20 წლის გაგამარუ 184 სმ და 153 კილოა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### აგვისტოს ბანძუკე
(რეიტინგ-ლისტი)

| აღმოსავლეთი | რანგი | დასავლეთი |
|---|---|---|
| ასაშორიუ | იოკოძუნა | ჰაკუჰო |
| ჩიიტაიკაი | ოძეკი | კოტომიცუ |
| კაიო | ოძეკი | კოტომიცუკი |
| ამინიშიკი | სეკივაკე | ასასეკირიუ |
| კისენოსატო | კომუსუბი | ამა |
| ტოკიტენკუ | მაეგაშირა 1 | კოგაშო |
| ტოჩინოიადა | მ 2 | კაკერუ |
| კოკუტორიკი | მ 3 | კოტომიგიკუ |
| დეშიმა | მ 4 | ვაკანოსატო |
| ტოიოშიგა | მ 5 | მიაგიკა |
| ტოიოშიგიკი | მ 6 | კაიო |
| ტამაკოშიგა | მ 7 | ტოკიცუკი |
| ტაკეკაძე | მ 8 | ტოსანოუმი |
| რიუო | მ 9 | ტაკამისაკარი |
| ივაკიკა | მ 10 | კასუგაო |
| ტამაკასუგა | მ 11 | ფუტენო |
| კოკაი | მ 12 | კიოკუტენეი |
| რიუო | მ 13 | ტოჩიიოკაი |
| კიტაკაკერა | მ 14 | გოეიდო |
| ჰაკუროკაი | მ 15 | იოშიკაძე |
| კასუგანიშიკი | მ 16 | კაკიძუ |




# კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი

## 2 სექტემბერი
## საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19.00



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ



## ჩოგბურთი

ლადო ჩიხლაძე

# ჩიხლაძე მსოფლიოს 385-ე ჩოგანია

ამერიკის ღია პირველობის დაწყების წინ ATP-ისა და WTA-ის რეიტინგლისტები განახლდა. ახლა ეს სია ორი კვირის განმავლობაში ხელუხლებელი იქნება. საქართველოს პირველ ჩოგან **ლადო ჩიხლაძეს** დაერიცხა მიუნხენის ტურნირის მოგებისთვის გათვალისწინებული 12 ქულა, თუმცა შარშან რუმინეთში მიღებული 4 ქულა მოაკლდა. საბოლოოდ, ლადომ მაინც გვარიანად წაიწია წინ (22 ადგილით) და ის კარიერაში პირველად შევიდა მოწინავე ოთხასეულში. 22 წლის ქართველი დღეიდან მსოფლიოს 385-ე ჩოგანია. ჩიხლაძეს რეიტინგში 85 ქულა აქვს. სხვა ქართველები მსოფლიო კლასიფიკაციაში: 824 (-1) **ირაკლი ლაბაძე** - 15 ქულა; 1331 (-) **ნოდარ ითონიშვილი** - 2; 1506 (-2) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1 ქულა. წყვილთა თანრიგის ხუთასეულში მხოლოდ ირაკლი ლაბაძეა - 87 ქულით 476-ე ადგილზე.

ქალთა შორის ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** 204,5 ქულით მსოფლიოს 158-ე ჩოგანია, რაც წინა მაჩვენებელს ერთი საფეხურით სჯობს. მაკას ორი კვირის შემდეგ დაერიცხება ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო წრეში მოპოვებული 25 ქულა. **ანა ტატიშვილი** 86 ქულით ორი ადგილით დაქვეითდა და მსოფლიოს 286-ე ჩოგანია. სხვა ქართველები: 560 (-4) **სალომე დევიძე** - 26 ქულა; 579 (-) **სოფიო შაფათავა** - 25; 682 (-1) **სოფიო მელიქიშვილი** - 16; 703 (+14) **მანანა შაფაქიძე** - 15; 762 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12,5; 774 (-3) **ეკა გორგოძე** - 12; 942 (+6) **სოფიო ქვაცაბაია** - 7. ათასეულს მიღმა: 1032 (+3) **თინათინ ყავლაშვილი** - 5; 1052 (+6) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4,7; 1208 (+9) **მარიამ ქურდაძე** - 2,7; 1226 (+10) **თეონა ცერცვაძე** - 2,5. სოფიო ქვაცაბაიასთვის ეს შედეგი კარიერაში საუკეთესოა. წელიწადის რბოლაში ანა ტატიშვილი 177-ე ადგილზეა, მაკა ჩახნაშვილი მას 10 ადგილით ჩამორჩება, სოფო შაფათავა კი 326-ეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შაფათავას მორიგი წარმატება



სოფიო შაფათავა

18 წლის **სოფიო შაფათავა** ბოლო დროს წარმატებით ასპარეზობს, ჩვენებური მეორე კვირაა კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელს - 579-ე ადგილს ინარჩუნებს. აგვისტოდან სოფიო რუსეთში იმყოფება, სადაც სხვადასხვა ჩელენჯერ ტურნირში გამოდის. მან ჯერ პენზის 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გააღწია, შემდეგ მოსკოვში 25-ათასიან ტურნირშიც გავიდა, სადავ მერვედფინალს უწია. ჯერი ისევ მოსკოვზეა, მორიგი ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ამერიკის ღია პირველობის შემდეგ ეს ერთადერთი სერიოზული ტურნირია ამ კვირაში, ასე რომ მასში ძალზე ძლიერი შემადგენლობაა. საკმარისია ითქვას, რომ ქართველი საკვალიფიკაციო ტურნირში ყველაზე დაბალ რეიტინგს ფლობს და ის ალტერნატიული სიიდან ბოლო მომენტში დაამატეს ბადეში.

საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ დღეს სოფიო შაფათავამ "უაილდ ქარდით" მიწვეულ ყაზახ **მარია კოვალევას** უპრობლემოდ გაუსწორდა - 6:0, 6:1. მეორე წრეში შაფათავას მეტოქე მეექვსე ნომრად განთესილი უკრაინელი **ვერონიკა კაპშაი** (457) შეხვდა, შაფათავამ ორ სეტში იმარჯვა - 6:2, 6:3. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ქართველი ფრანგ **მაილინ ანდრიუს** (507) დაუპირისპირდება.

ბულგარეთის შავიზღვისპირა ქალაქ ბურგასში ვაუ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) მიმდინაორებს. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად განთესეს ეროვნული ნაკრების 18 წლის წევრი **გიორგი ხრიკაძე**. სამწუხაროდ, გიორგის ბოლო შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს, პირველ წრეში ქართველი ისვენებდა, მეორეში კი ის ურეიტინგო რუს **იგორ რუდთან** დამარცხდა - 3:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭრიკეტი

ეროვნული ნაკრები

# ათინი ერევანში



ზვიად ხადური და ალექსანდრე ჩეჩელიანი

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები 1 სექტემბერს მიემგზავრება ერევანში, სადაც იქაური კრივის მამამთავრის, ედუარდ არისტაკესიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. საქართველოს გარდა, ტურნირზე მიწვეულები არიან ირანელი, ჩეხი და რუსი მოკრივეები. მართალია, გადაწყვეტილი იყო, რომ ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატამდე შეჯიბრებაზე აღარ გამოვიდოდა, მაგრამ გუნდის ახალმა თავკაცმა **თენგიზ მესახაძემ** მოითხოვა შეგირდების საქმეში ხილვა.

მესხაძეს ერევანში მიჰყავს ათი მოკრივე: **ზვიად ხადური, ალექსანდრე ჩეჩელიანი** (48 კგ), **ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), დავით **წიკლაური** (81) და **ბექა ლობჟანიძე** (+91). აქედან, ცხრა აუცილებლად წავა მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო ალექსანდრე ჩეჩელიანი მხოლოდ საშეჯიბრო პრაქტიკისთვის იახლეს სომხეთში. არაა გამორიცხული, რომ ტურნირზე ხადური 51 კილოგრამში აჩხუბონ. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის იგი თავის ჩვეულ წონას დაუბრუნდება.

ალბათ უპრიანი იქნებოდა, რომ ერევანში გამოეცადათ ევროპის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **კონსტანტინე კუპატაძე** ან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კრივსა და ნაკრებში ახლახან დაბრუნებული **გაგა ბოლქვაძე**. ამ უკანასკნელმა ოთხიოდე წლის წინათ ოლიმპიურ პრიზიორ **ვლადიმერ ჭანტურიას** დანოკაუტებით გაითქვა სახელი, მაგრამ მერე კარგა ხნით დაიკარგა, ახლა კი ისევ დაბრუნდა. ამ სეზონში, ბევრი გაუცდა კუპატაძესაც და ორივე მოკრივეს სჭირდება საშეჯიბრო პრაქტიკა. თუმცა, მწვრთნელებმა უკეთ იციან თავის საქმისა..

როგორც შევიტყვეთ, მესხაძეს უკვე უსაუბრია კუპატაძესა და ბოლქვაძესთან. მართალია, ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე არ მიდიან, მაგრამ ნაკრებთან ერთად ივარჯიშებენ. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, მესხაძე ყველა უძლიერეს მოკრივეს უხმობს და გუნდი სპეციალური განრიგით მოემზადება გაისად გასამართი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებისთვის. ვინც პეკინის საგზურს ვერ მოიპოვებს, ამის გაკეთება მომავალ წელს გასამართ ორ სალიცენზიო ტურნირზე უნდა მოახერხოს.

**კობა ხატისაშვილი**

აწმყო, შოგილი წარსულისაგან...

# გზა დიდი რინგისკენ

ირაკლი მელაძე და გიორგი კანდელაკი

შორეულ წარსულშია გადგმული ქართული კრივის ფესვები. ჯერ კიდევ V-VI საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ "ქართველ ტომებთან უიარაღოებთანაც კი ძნელი იყო ბრძოლა, რადგან მუშტებს ხმალივით ხმარობდნენო".

ცნობილია, როგორ ახალისებდა კრივის განვითარებას მეფე ერეკლე. თავადაც ხშირად დასწრებია მუშტიკრივს და გამარჯვებულებს ოქრო-ვერცხლით ასაჩუქრებდა. ყველა კუთხესა თუ ქალაქს თავისი სახელოვანი ყოჩები ჰყავდა. თბილისი კი განსაკუთრებით გამორჩეული იყო. აქ 1920 წლიდან უბნებს შორის გუნდურმა კრივმა ინდივიდუალური ბრძოლების ხასიათი მიიღო.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან უკვე მეხუთე თაობის სპორტსმენი მოკრივეები გამოდიან სარბიელზე. კრივი ძალზე პრესტიჟული იყო ჩვენს ყმაწვილობაში. თანაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკრანზე უჩვენებდნენ რუსულ მხატვრულ ფილმს "პირველი ხელთათმანი", სადაც მოკრივის ცხოვრება იყო აღწერილი. ამ ფილმმა ხომ სულ გადაგვრია ბიჭები და თითქმის ყველამ მივაშურეთ კრივის სექციებს. სწორედ მაშინ, მოკრძალებით შეაღო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე "კუპალნიასთან" მდებარე კრივის დარბაზის კარი **ირაკლი მელაძემაც**, რომელიც **გიორგი ჯანაშიას** ჯგუფში ჩაირიცხა.

ნიჭმა თავისი გაიტანა. განსაკუთრებით სპეციალისტებს აოცებდა ირაკლის რეაქცია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მაღალი რანგის მოკრივისთვის. ძალიან გამოადგა "ქუჩის სექციაში" შეძენილი სითამამე და შეუპოვრობა. ჯერ ისევ ჭაბუკი იყო, როცა გზა დიდი რინგისკენ თამამად გაიკაფა. რამდენჯერმე გახდა საქართველოს ჩემპიონი, ცხადია, სულაც არ იყო ადვილი ამ საპატიო ტიტულის მოპოვება. წონა ჰქონდა ისეთი, სადაც ყველაზე მეტი და კარგად მომზადებული მეტოქე იყრიდა თავს. საქართველოს ჩემპიონატშიც და სპარტაკიადის ტურნირშიც ფინალურ ორთაბრძოლაში, ტრადიციულად, იმ პერიოდის ერთ-ერთ უძლიერეს ოსტატს ბათუმელ **იგორ გაიდამაკს** ხვდებოდა. იგორ გაიდამაკი დღეს სათავეში უკრაინის კრივის ეროვნულ ფედერაციას უდგას, მისი პრეზიდენტია.

ირაკლი მელაძეს საერთაშორისო ტურნირებშიც მოუპოვებია გამარჯვებები. 1958 წელს ირაკლიმ რუსეთის ფედერაციის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ანატოლი ზორკინი დაამარცხა მინსკში. საქართველოს ნაკრებში მისი თანამებრძოლები იყვნენ **ავთანდილ ალაშვილი, ლევან ასატუროვი, ჯემალ რაზმაძე, სერგო ბერ ძენიშვილი, პეტრე ხუბეჟოვი, მიხეილ ფროლოვი, ნოდარ ამაშუკელი, ერასტი ერისთავი, გივი მუხაძე, ჟენია კონიაკინი და სხვები.**

მდიდარი ტექნიკური არსენალიდან ირაკლის ერთი უნიკალური ილეთი იყო გამორჩეული - ნახტომში დარტყმა. დღესაც კი, მისნაირი შესრულებით, ეს ილეთი იშვიათობაა. სიზუსტე, დისტანციის ღრმა შეგრძნება, მოულოდნელობა და ყველაფერი ეს შესრულებული უსწრაფესად - აი, რა არის ნახტომში დარტყმის უპირატესობა.

*"ამ ილეთის შესწავლა ფენომენალური მოკრივის ქუთაისელი ფრიდონ (ბოჭოლია) ლომიძის წაბაძვით დავიწყე. რომ არა ტრაგიკული შემთხვევა, ბოჭოლია, ალბათ, კრივის მსოფლიო ვარსკვლავი გახდებოდა."* - იგონებს ბატონი ირაკლი.

სპორტმა უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი შესძინა. სპორტმაც და პიროვნულმა ღირსებებმაც დიდი პოპულარობა მოუტანა. უახლოესი მეგობრების წრე ფართოა. ესენი არიან ხელოვნებისა და კულტურის ცნობილი წარმომადგენლები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, სპორტსმენები, ჩვეულებრივი მოქალაქეები. ბევრს ეყოფოდა საამაყოდ თუნდაც მსოფლიო დონის მუსიკოსთან ოდისეი დიმიტრიადისთან მეგობრობა, რომელიც თავადაც კარგი მოკრივე ყოფილა ახალგაზარდობაში.

ირაკლი დღესაც შემართებით მოღვაწეობს საქართველოს კრივის ეროვნულ ფედერაციაში, როგორც გამგეობის საპატიო წევრი. გამოცდილება დიდი აქვს - იყო აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი. 2004 წელს პროფესიული კრივის მსოფლიო ფედერაციამ "რინგ ოფისიალ რეფერის" წოდება მიანიჭა.

რინგზე სახელოვანი პაპის გზას შვილიშვილი, პატარა ალეკო დადიანი აგრძელებს...

ირაკლი მელაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

**ჯემალ კვანტალიანი**
სპორტის ოსტატი

## მსოფლიო ჩემპიონატი

# სუპერ ბეკელე

ბეკელე მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი

რა თქმა უნდა, ოსაკაში მიმდინარე, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღეს, ყველაზე საინტერესო ას მეტრზე სპრინტში ქალთა ფინალური გარბენი იყო. ალბათ, ასეც იყო, მაგრამ არანაკლებ (თუ მეტად არა) საინტერესო, გამოდგა ათ კილომეტრზე მამაკაცების სირბილი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონის წოდება ზედიზედ მესამედ მოიპოვა სახელოვანმა ეთიოპიელმა **კენენისა ბეკელემ**.

ბეკელე კარგა ხანს სხვა სტაიერების ჩრდილში იმყოფებოდა. ფინიშამდე სამი წრით ადრე, ისე ჩანდა, რომ მას ბოლომდე ძალა აღარ ეყოფოდა, მაგრამ როგორც კი მსაჯებმა ბოლო წრის ზარს შემოჰკრეს, მან ტემპი საგრძნობლად გაზარდა და თანამემამულე **სილეში სიჰინს** ფინიშთან რამდენიმე ათეული მეტრით მიასწრო. არადა, ჯერ კიდევ ორი წრით ადრე, ლიდერთა სამეულს დამაჯერებლად მიუძღოდა კენიელი **მარტინ ირონგუ მათათი**, ვისაც სახეზე დაღლილობის ნატამალიც კი არ ეტყობოდა.

ბეკელეს, ვინც ოლიმპიური ჩემპიონიცაა, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონის თითო ოქროს მედალი სჭირდება იმისთვის, რომ გაუტოლდეს ლეგენდარულ თანამემამულე **ჰაილე გებრსელასიეს**, ვინც 1993- 1999 წლებში მსოფლიო ჩემპიონი ზედიზედ ოთხჯერ გახდა, 1996 (ატლანტა) და 2000 (სიდნეი) წლების ოლიმპიადებზე ორი ოქროც მოიპოვა.

*"ეს ნამდვილი სასწაულია, განსაკუთრებული მოვლენა ჩემს კმრიერაში. არც ვიცი, რა გითხრათ. შესაძლოა, გარედან სხვანაირად ჩანს, მაგრამ მერწმუნეთ, ძალიან ძნელია მსოფლიო ჩემპიონატის ზედიზედ სამჯერ მოგება"*, - განაცხადა ბეკელემ, ვინც, სანამ მისი თანაგუნდელი ფინიშის ხაზს გადაკვეთავდა, ტრიბუნებისთვის ჰაეროვანი კოცნის დარიგებაც მოასწრო.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, ბეკელეს გამარჯვება დღის მოვლენა იქნებოდა, რომ არა ქალთა სპრინტის დრამატული ფინიში. თავიდან გამარჯვებულად მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი (2003 წლის), ამერიკელი **ტორი ედვარდსი** დასახელდა, თუმცა ფოტო-ფინიშის გარჩევამ სწრაფად უარჰყო ფინალის შედეგის ეს ვერსია. რამდენიმე წუთის განმავლობაში, ოთხი სპრინტერი მოუთმენლად ელოდა საბოლოო შედეგის გამოცხადებას. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, თითქოს ფინიშის ხაზი პირველმა (ხელით) ამერიკელმა **ლორინ უილიამსმა** გადაკვეთა, საბოლოოდ კი ქრონომეტრმა მასაც და იამაიკელ **ვერონიკა კემპბელსაც** აბსოლუტურად ერთნაირი დრო - 11.01 წამი (მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ცუდი საჩემპიონო დრო) დაუფიქსირა. უფრო დაზუსტებით კი, იამაიკელს, ვინც 200 მეტრზე სპრინტში ოლიმპიური ჩემპიონია, წამის მეასედებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოაპოვებინა.

*"ეს რამდენიმე წამი ისე გაიწელა, მეგონა, მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა. მჯეროდა, რომ პირველი მე ვიყავი. სტარტი, მაინც და მაინც, საუკეთესო არ გამომივიდა, მაგრამ ფინიში შესანიშნავი მქონდა"*, - განაცხადა კემპბელმა.

რა თქმა უნდა, გამარჯვება სურდა მსოფლიოს ან უკვე ყოფილ (2005 წელი, ჰელსინკი) ჩემპიონ უილიამსს, მაგრამ ის ვერცხლითაც კმაყოფილი დარჩა. აბა, რა იქნებოდა, ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, თავადაც ძნელად თუ წარმოიდგენდა, თუ ტრავმების გადამკიდე, ოსაკაში ასპარეზობის საგზურს მოიპოვებდა.

სხვათა შორის, ვერონიკა კემპბელსაც **ლენს ბრაუმანი** ავარჯიშებს, მწვრთნელი, ვინც მსოფლიო ჩემპიონობამდე მიიყვანა ამერიკელი **ტაისონ გეი**. ბრაუმანი ახლა ციხეშია და თავისი შეგირდების ტრიუმფებს ტელეეკრანიდან უყურებს. ეს კაცი თაღლითობისთვის ზის ციხეში, რომლის კედლებსაც დღეს დატოვებს.

საინტერესო ფაქტი: ფინიშზე პირველ ექვს ადგილზე გასულები მხოლოდ 0.07 წამმა დააშორა. ამასთან, აბსოლუტურად იდენტური დრო ჰქონდათ ედვარდსსა და მეხუთეზე გასულ ევროპის ჩემპიონს ბელგიიდან **კიმ გევაერტს**.

■ ■ ■

კაცების სამხტომში ბადალი არ ჰყავდა პორტუგალიელ **ნელსონ ევორას**, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ყველაზე შორეული, 17.74-მეტრიანი ნახტომით დაეუფლა. ევორა სპილოს ძვლის ნაპირიდანაა, ჯერ კიდევ იუნიორობისას კი პორტუგალიაში გადასახლდა. თუმცა, ამის მიუხედავად, 2002 წლამდე თავის მშობლების მშობლიურ მწვანე კონცხის კუნძულების (კეიპ ვერდეს კუნძულები) სახელით გამოდიოდა. მერე პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო და ოსაკაშიც ამ ქვეყნის სახელით დაეუფლა ოქროს.

23 წლის ევორა ლიდერობას ფინალური ეტაპის პირველივე ნახტომით (17.41 მეტრი) დაეუფლა. შემდგომში ეს შედეგი მხოლოდ ერთმა მხტომელმა, ბრაზილიელმა **ჟადელ გრეგორიუმ** გაუმჯობესა, თუმცა იმ მომენტში ევორას საჩემპიონო ნახტომი (მესამე ცდაზე) უკვე შესრულებული ჰქონდა. კარგა ხანს, ამ სეზონის საუკეთესო შედეგის (17.90 მეტრი) მფლობელ გრეგორიუს ნორმალური ნახტომი არაფრით გამოსდიოდა, მაგრამ ბოლოსწინა ცდაზე მან ვერცხლის ნახტომი (17.59 მეტრი) მაინც შეასრულა.

ბრიჯაოსლა დასჯერდა მოქმედი ჩემპიონი ამერიკიდან **უოლტერ დევისი**, ვინც პირველივე ცდაზე 17.33 მეტრზე გადახტა, მაგრამ შემდეგ ამ შედეგის გაუმჯობესება ვერაფრით შეძლო.

■ ■ ■

მსოფლიო ჩემპიონის მესამე ტიტულის მოპოვება ბოლო ცდით (83.63 მეტრი) შეძლო ბელარუსმა ოროს მტყორცნელმა **ივან ტიხონმა**. სხვათა შორის, მისი შედეგი სეზონის საუკეთესოა. *"ბოლო ცდის წინ საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ მქონდა დაკარგული და რომ ეს შემეძლო. ჰოდა, გამოვედი და რაც გავაკეთე, ყველამ კარგად დაინახა"*, - განაცხადა ტიხონმა, ვინც მოუთმენლად ელოდა თავისი ქვეყნის პრეზიდენტისგან მისალოც სატელეფონო ზარს, მაგრამ... **ალექსანდრ ლუკაშენკო** მისთვის ალბათ, მოგვიანებით მოიცლიდა...

ადგილობრივი მაყურებლისთვის გულის დასაწყვეტად, მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი **კოძი მუროფუში**, ვინც ბოლო ცდაზე ურო 80.46 მეტრზე გასტყორცნა.

■ ■ ■

გუშინ პირველი მედლები მოიპოვეს რუსმა სპორტსმენებმა. მათთვის ოქროსა და ვერცხლის მომტანი გამოდგა ქალების 3000 მეტრზე სტიპლჩეიზი, რომლის ფინიშთანაც პირველი **ეკატერინა ვოლკოვა** მიიჭრა. გარდა იმისა, რომ ოქროს მედალს დაეუფლა, ვოლკოვამ მსოფლიო ჩემპიონატების ახალი რეკორდიც (9 წუთი და 06.57 წამი) დააფიქსირა.

*"ფინიშამდე 600 მეტრით ადრეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდი, მაგრამ თუ ჩემპიონატის რეკორდიც გამომივიდოდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი. ამ გამარჯვებას ჩემს სამი წლის შვილ დანიელს ვუძღვნი, ის, ალბათ, პირველი მომილოცავს ამ გამარჯვებას"*, - ნაფინიშევს განაცხადა ვოლკოვამ, ვინც ფინალურ სწორს რომ შეუყვა, ტაბლოს გახედა, ამ დროს კი რაღაცას ფეხით წამოედო და კინაღამ დაეცა.

სხვათა შორის, ოსაკაში არ უასპარეზია მსოფლიოს წინა ჩემპიონატის ტრიუმფატორს, უგანდელ **დორკუს ინზიკურუს**, ვინც ახლა სამშობიაროდ ემზადება. რაც შეეხება კენიელ **ეუნის ჯეპკორირს**, ვისაც მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ წაეგო, მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი

### ოსაკა (იაპონია). მე-3 დღე

#### ოროს ტყორცნა. კაცები

| | |
|---|---|
| 1. ივან ტიხონი (ბელარუსი) | 83.63 |
| 2. პრიმუტ კოზმუსი (სლოვენია) | 82.29 |
| 3. ლიგორ ჩარფარიტაგი (სლოვაკ.) | 81.60 |
| 4. ვადიმ დევიატოვსკი (ბელარუსი) | 81.57 |
| 5. კრისტიან პარსი (უნგრეთი) | 80.93 |

#### 3000 მეტრზე სტიპლჩეიზი. ქალები

| | |
|---|---|
| 1. ეკატერინა ვოლკოვა (რუსეთი) | 9:06.57 |
| 2. ტატიანა პეტროვა (პეტროვა) | 9:09.19 |
| 3. ეუნის ჯეპკორირი (კენია) | 9:20.09 |
| 4. რუთ ბისიბორი ნიანგაუ (კენია) | 9:25.25 |
| 5. სოფი დუარტე (საფრანგეთი) | 9:27.51 |

#### სამხტომი. კაცები

| | |
|---|---|
| 1. ნელსონ ევორა (პორტუგალია) | 17.74 |
| 2. ჟადელ გრეგორიუ (ბრაზილია) | 17.59 |
| 3. ვალტერ დევისი (აშშ) | 17.33 |
| 4. ოსნიელ ტოსკა (კუბა) | 17.32 |
| 5. აარიკ უილსონი (აშშ) | 17.31 |

#### 10 000 მეტრი. კაცები

| | |
|---|---|
| 1. კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 27:05.90 |
| 2. სილეში სიჰინი (ეთიოპია) | 27:09.03 |
| 3. მარტინ ირონგუ მათათი (კენია) | 27:12.17 |
| 4. ზერსენაი ტადესე (ერითრეა) | 27:21.37 |
| 5. ჟოსეფატ მუჩირი ნდამგირი (კენია) | 27:31.41 |

#### 100 მეტრი. ქალები

| | |
|---|---|
| 1. ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) | 11.01 |
| 2. ლორინ უილიამსი (აშშ) | 11.01 |
| 3. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) | 11.02 |
| 4. ტორი ედვარდსი (აშშ) | 11.05 |
| 5. კიმ გევაერტი (ბელგია) | 11.05 |

ასეთი იყო ქალ სპრინტერთა ფინიში



### 28 აგვისტო. სამშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:35 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტკლუბი.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენესე-პალმეირასი.
12:45 ფეხბურთი. Barca TV.
12:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
14:40 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
15:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ნიუკასლი.
16:55 სპორტის სახეები.
17:20 ფეხბურთი. Barca TV.
17:30 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. სლოვენია.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-ლოს ანჯელესი.
21:35 ფეხბურთი. Barca TV.
21:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ნიუკასლი.
02:10 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
02:40 ფეხბურთი. Barca TV.
02:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენესე-პალმეირასი.
04:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ნიუკასლი.
06:25 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. სლოვენია.

#### EUROSPORT

07:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე.
12:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. ოსაკა. იაპონია.
14:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
17:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. VI ეტაპი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე.
19:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
21:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
05:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. გერმანია.
23:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. სტამბოლი. თურქეთი.
23:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. სტამბოლი. თურქეთი.
00:00 ავტოსპორტი. ჩემპიკარის სერია. ბელგია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

## სხვადა სხვა

### ფეხბურთი

#### ინგლისი

##### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ქრუელი | 0:1 |
| ბარნეტი-უარსლი | 1:0 |
| კემბრიჯი-ეგზეტერი | 1:1 |
| ექსეტერი-ეშფორდი | 0:0 |
| ფორეს გრინი-ბორეი | 2:2 |
| გრეიმსი-პისბონი | 0:1 |
| ბალფორდი-დარლინგტონი | 3:0 |
| ნორთფლიტ-ირეი | 0:1 |
| რაშდენი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| სალისბერი-ფოკინგი | 2:1 |
| სტეფორდ-ალბერტინგი | 1:1 |
| სტევენეიჯ-ოქსფორდ | 0:0 |

#### გერმანია

##### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ფრაიბურგი | 1:1 |

#### პოლანდია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დენ ჰაგი-ალმერი | 1:0 |
| ფორდრეხტი-ვენი | 2:1 |
| ვინდოხენი II-მაასბრიხი | 3:1 |
ოვინეორლი-ბელსბარი 1:2
ვოლენდამი-აპელდორნი 1:2
ცვოლე-ვალვიკი 0:0
ფორბუნა-ალმერეი 0:1
ჰაარლემი-ჰოგ ოსი 0:0
როსენდალი-დენ ბოში 0:1
ვეენდამი-იგლუ 4:2

#### ბელგია

| | |
|---|---|
| მეხელენი-ბრიუგე | 1:1 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| სეგუბალი-ნასიონალი | 1:1 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ორეუსი-ლუნგბიუ | 0:0 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სანდეფიორდი-სტაბეკი | 2:3 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| იუგბორდენ-ალმარი | 1:3 |
| გაის-გეფლე | 1:0 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ენგოპინგი-ბორგრიგე | 0:2 |
| ჰაკენი-ნორჩეპინგი | 3:1 |
| ოსტერი-სუნდსვალი | 1:1 |
| სილვია-სირიუსი | 2:4 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| კორკი-ბრეი | 2:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| გეკლიცე-ლიბერეცი | 2:0 |
| ჟლინი-ბანიკი | 2:2 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| უიპეშტი-ვაშაში | 1:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. აშშ-ის ღია

| | |
|---|---|
| ანდრეევი-კენდრიკი | 7:6, 6:3, 6:4 |
| ბაღდატისი-მირნი | 3:6, 5:7, 6:3, 6:7 |
| გუჩიონე-იანგი | 7:6, 3:6, 2:6, 3:6 |
| დავიდენკო-ლევინე | 6:4, 6:0, 6:1 |
| ფერერო-ფ. ლოპესი | 3:6, 4:6, 4:6 |
| დე ვოესტი-ასკიონე | 6:2, 6:0, 6:0 |
| ბეკერი-პეტშნერი | 6:2, 6:3, 4:6, 4:6, 1:6 |
| ბენეტო-ბოლელი | 3:6, 4:6, 6:3, 1:6 |
| ბერდიჩი-ჟიკელი | 6:3, 7:6, 6:2 |
| გასკე-როიტმანი | 7:5, 6:1, 6:2 |
| ბიორკმანი-გუსმანი | 6:3, 7:6, 6:2 |
| ფედერერი-ჯენკინსი | 6:3, 6:2, 6:4 |
| გროსჟანი-გოლდსტეინი | 6:1, 6:1, 6:0 |
| მარეი-კუევასი | 6:2, 6:3, 6:0 |

#### WTA. ნიუ ჰეივენი

| | |
|---|---|
| კ. ბონდარენკო-რ. პასკუალი | 6:3, 7:6 |
| ვორაკოვა-ერანი | 5:7, 3:6 |
| გოვორცოვა-არვიდსონი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ჟიდკოვა-ზვონარევა | 0:6, 7:6, 0:6 |
| ლიხოცევა-ალბანეზე | 6:0, 6:2 |
| საფინა-კასტანიო | 6:2, 6:3 |
| სუგიამა-კლეპაჩი | 6:3, 6:1 |
| შრუფი-მაკაროვა | 1:6, 6:0, 2:6 |
| იანკოვიჩი-გაიდოსოვა | 6:2, 7:6 |
| საფაროვა-მური | 6:3, 6:2 |
| ვოზნიაკი-ობზილერი | 4:6, 6:2, 7:5 |
| პირონკოვა-პუჩკოვა | 6:3, 6:4 |
| ანენი-გორგესი | 6:0, 6:3 |
| ბამერი-ტანასუგარნი | 6:4, 6:4 |
| ბარტოლი-გლეტჩი | 6:1, 6:1 |
| პეტკოვიჩი-კოენი | 6:4, 6:1 |
| სტოსური-კორნე | 3:6, 2:6 |
| დანიილიდუ-მოისბურგერი | 6:2, 6:4 |
| რეზაი-კრავერო | 6:3, 7:5 |

## ესპანეთს გარბახოსა გამოაკლდა...

2007 წლის ევრობასკეტი ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, **ხორხე გარბახოსას** გარეშე ჩაივლის. "ტორონტო რეპტორზმა" თავის ლეგიონერს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის ნება არ დართო.

როგორც იცით, გარბახოსამ 26 მარტს, "ბოსტონ სელტიქსთან" მატჩში დაიზიანა ფეხი და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა უკვე ბოლომდე მოირჩინა, "ტორონტოს" ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე აქტიურმა თამაშმა, შესაძლოა ტრავმის რეციდივი გამოიწვიოს.

## ...საბერძნეთს ფოციისი

ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული დანაკლისი ექნება საბერძნეთის ნაკრებსაც. მოსკოვის "დინამოს" ფორვარდმა **ანტონის ფოციმა,** ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე თითი მოიტეხა და ამის გამო ესპანეთში ველარ გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ ფოციისი ბერძნების სასტარტო ხუთეულის წევრია..2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საბერძნეთმა ოქროს მედლები მოიგო, ეს კალათბურთელი საშუალოდ 4.9 ქულასა და 2.9 მოხსნას აგროვებდა.

ფოციისისთვის გასული სეზონი, ერთ-ერთი საუკეთესო იყო კარიერაში. ის ევროლიგის მატჩებში საშუალოდ 13.8 ქულას და 7.0 მოხსნას ითვლიდა, ხოლო იტალიის "ბენეტონთან" საშინაო შეხვედრაში, ანტონისმა მოხსნების რაოდენობით რეკორდი დაამყარა - 24.

## ვის დარჩება ბოლო საგზური?

ამასობაში, დასრულდა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი ეტაპი და გაირკვა ის სამი გუნდი, რომლებიც მომავალ კვირას, ესპანეთში ევრობასკეტის ერთადერთი ვაკანტური ადგილისთვის იბრძოლებენ. ეს უფლება ისრაელის, ბოსნიისა და მაკედონიის ნაკრებებმა მოიპოვეს.

ეს გუნდები ერთმანეთში თითო მატჩს ჩაატარებენ და ამ მინი-ტურნირის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის A ჯგუფში მოხვდება, სადაც მისი მეტოქეები საბერძნეთის, სერბეთისა და რუსეთის ნაკრებები იქნებიან.

## ანგოლა ოლიმპიადაზე მოხვდა

კვირას, პეკინის ოლიმპიური თამაშების საკალათბურთო ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე გაირკვა.

FIBA-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, აფრიკის ჩემპიონატის ფინალში ანგოლის ნაკრებმა 86:72 დაამარცხა კამერუნი და... ოლიმპიადის საგზური მოიპოვა.

## ოკულაჯამ ახალი კლუბი იპოვნა

გერმანიის ნაკრების ვეტერანმა კალათბურთელმა **ადემოლა ოკულაჯამ** ქვეყნის ჩემპიონთან, "ბამბერგთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

32 წლის ოკულაჯა შარშან რუსეთის "ხიმკიში" თამაშობდა. ULEB-ის თასზე ამ გუნდის რიგებში მისი საშუალო მონაგარი 7.6 ქულასა და 4.5 მოხსნას შეადგენდა.

## რეჯი არ დაბრუნდება

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "ინდიანა პეისერსის" ყოფილმა მცველმა **რეჯი მილერმა** ორკვირიანი ტესტების შემდეგ გადაწყვიტა, აღარ განაახლოს მოთამაშის კარიერა. შეგახსენებთ, რომ 42 წლის მილერმა, რომელმაც კალათბურთს თავი 2005 წელს დაანება, "ბოსტონ სელტიქსიდან" მიიღო მიწვევა.

*"ჩემი ფიზიკური ფორმა კალათბურთში დაბრუნების საშუალებას მომცემდა. მაგრამ, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ყველაფერში 100 პროცენტით უნდა იყო დარწმუნებული. მე კი, ასე დამაჯერებლად არ ვგრძნობდი თავს",* - განაცხადა რეჯი მილერმა, რომელიც NBA-ის ყველა დროის რეკორდსმენია ზუსტი სამქულიანების რაოდენობით.

## ჩოგბურთი

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7605 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5485 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3670 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3255 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 2990 |
| 6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2390 |
| 7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2255 |
| 8(8). ტომი როგრადო (ესპ) | 1950 |
| 9(9). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1925 |
| 10(10). ტომი ჰაასი (გერ) | 1880 |
| 11(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1880 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1780 |
| 13(13). რიშარ გასკე (საფ) | 1740 |
| 14(14). გილერმო კანიასი (არგ) | 1648 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1565 |
| 16(16). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1495 |
| 17(17). კარლოს მოია (ესპ) | 1445 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1440 |
| 19(19). ენდი მარეი (გრიტ) | 1420 |
| 20(22). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1265 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 982 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 971 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 662 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 416 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 395 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 295 |
| 7(7). დავიდ ფერერი (ესპ) | 292 |
| 8(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 291 |
| 9(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 288 |
| 10(9). ტომი როგრადო (ესპ) | 277 |
| 11(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 274 |
| 12(11). ტომი ჰაასი (გერ) | 266 |
| 13(12). კარლოს მოია (ესპ) | 265 |
| 14(14). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 260 |
| 15(15). რიშარ გასკე (საფ) | 259 |
| 16(16). გილერმო კანიასი (არგ) | 258 |
| 17(17). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 257 |
| 18(18). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 249 |
| 19(19). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 236 |
| 20(20). ხუან იგნასიო ჩილა (არგ) | 229 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელ) | 4692 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3845 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3429 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3176 |
| 5(5). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2847 |
| 6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2586 |
| 7(7). ამელი მორესმო (საფ) | 2376 |
| 8(9). ნადია პეტროვა (რუს) | 2238 |
| 9(8). სერენა უილიამსი (აშშ) | 2237 |
| 10(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1989 |
| 11(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1968 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1774 |
| 13(17). ელენა დემენტიევა (რუს) | 1770 |
| 14(13). ვენუს უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 15(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1708 |
| 16(16). დინარა საფინა (რუს) | 1708 |
| 17(17). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1621 |
| 18(18). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1586 |
| 19(19). შაარ პეერი (ისრ) | 1524 |
| 20(20). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1196 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელ) | 3675 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3475 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2707 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2546 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 2340 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2106 |
| 8. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1740 |
| 9. ნადია პეტროვა (რუს) | 1698 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1684 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1662 |
| 12. დინარა საფინა (რუს) | 1527 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიც) | 1445 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1421 |
| 15. ამელი მორესმო (საფ) | 1406 |
| 16. ელენა დემენტიევა (რუს) | 1357 |
| 17. შაარ პეერი (ისრ) | 1338 |
| 18. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1247 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1230 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1216 |

ამერიკის ჩემპიონატი

# აქეთ არგენტინა, იქით ამერიკა

ლას ვეგასში ამერიკის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. როგორც იცით, ამ ტურნირზე პეკინის ოლიმპიური თამაშების ორი ფინალისტის ვინაობა უნდა გაირკვეს.

დასრულდა პირველი ჯგუფური ტურნირი. ამ ეტაპზე უდანაკარგოდ მხოლოდ ორმა გუნდმა - ამერიკის და არგენტინის ნაკრებებმა ითამაშა.

ახალი ფორმაციის "დრიმ თიმის" ბოლო მსხვერპლი ბრაზილიის ნაკრები გახდა, რომელსაც მანამდე არცერთი მატჩი არ ჰქონდა წაგებული. ვარაუდობდნენ, რომ ჯგუფში სწორედ ბრაზილიელები გაუწევდნენ ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მასპინძლებს, რომლებიც ამ ტურნირზე, საშუალოდ 48.4 ქულის სხვაობით უგებენ მეტოქეებს.

სპეციალისტთა ეს ვარაუდი იმით იყო განპირობებული, რომ ბრაზილიის რიგებში თამაშობს "ფინიქს სანზის" ფორვარდი **ლეანდრო ბარბოსა,** რომელმაც გასულ სეზონში NBA-ის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის პრიზი მიიღო. ამ მატჩამდე, ბარბოსა ამერიკის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო - ის საშუალოდ შეხვედრაში 27 ქულას აგროვებდა.

ამერიკის დამრიგებელმა **მაიკ კრეჯევსკიმ** ბარბოსას მეურვეობა "ლეიკერსის" ლიდერს, **კობი ბრაიანტს** დაავალა და მანაც შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ფინიქსელმა თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო და შეხვედრა სამარცხვინო 4 ქულით დაასრულა.

ბრაზილიელთა რიგებში საუკეთესო იყო **ტიაგო სპლიტერი,** რომელიც წლეულს NBA-ის ჩემპიონმა, "სან ანტონიო სპურსმა" დრაფტზე აიყვანა. ახალგაზრდა კალათბურთელმა 13 ქულა დააგროვა.

ეს შეხვედრა თავისი სცენარით ძალიან ჰგავდა ამერიკელთა წინა მატჩს, როცა მათ კანადის ნაკრები გაანადგურეს. ორივე შემთხვევაში გამარჯვებულის ბედი მეორე მეოთხედში გაირკვა. დიდ შესვენებამდე 5 წუთითა და 50 წამით ადრე, ბრაზილია მხოლოდ 5 ქულას (32:37) აგებდა, მაგრამ მომდევნო 3 წუთი ამერიკამ 13:2 მოიგო და ანგარიში 50:34 გახდა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო.

■ ■ ■

A ჯგუფში **ჯინობილის, ობერტოს, ნოჩიონისა** და **ერმანის** გარეშე მოთამაშე არგენტინის ნაკრებმა აჯობა ყველას. თუმცა ბოლო ტურში, ოლიმპიადის მოქმედ ჩემპიონებს კინაღამ პანამის ნაკრებმა მოუგო.

არგენტინა ბეწვზე გადაურჩა დამარცხებას. საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე, პანამა 9 ქულას იგებდა, მაგრამ ფავორიტი **პაბლო კინტეროსის** შესანიშნავმა თამაშმა გამოაცოცხლა. მომდევნო ორწუთნახევარში, არგენტინა 13:2 გაიქცა და ამ 13 ქულიდან, შვიდი სწორედ კინტეროსის ანგარიშზე იყო. არგენტინა 81:79 დაწინაურდა, მაგრამ ამით მისი პრობლემები არ დასრულებულა. მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, მასაჩუსეტსის შტატის კალათბურთელმა **გარი ფორბსმა** სამქულიანით წინ გაიყვანა პანამა - 85:83 37 წამით ადრე. 10 წამში ანგარიში **დიეგო ლო გრიპომ** გაათანაბრა, დარჩენილ დროში, ორივე გუნდს თითო-თითო შეტევის საშუალება მიეცა, მაგრამ ფორბსმა და **პრიჯიონიმ** თავიანთი ტყორცნები ააცილეს.

დაინიშნა ოვერტაიმი, სადაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 5 წუთში არგენტინამ 24 (!) ქულა ჩააგდო, მეტოქემ კი, მხოლოდ შვიდით უპასუხა. პანამა ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და ტურნირს გამოეთიშა.

მეოთხედფინალურ ეტაპზე ბრძოლა შემდეგნაირად გაგრძელდება. ორივე ჯგუფის რვა საუკეთესო ნაკრები ერთ ქვეჯგუფს შექმნის, სადაც ოთხი ტური გაიმართება. თანაც, გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გადაჰყვებათ. ამის შემდეგ, გაირკვევა ის ოთხი ნაკრები, რომლებიც ნახევარფინალებს ითამაშებენ. ჯგუფის გამარჯვებული მეოთხეადგილოსანს შეხვდება, მეორე ადგილზე გასული - მესამეადგილოსანს. სწორედ ნახევარფინალში გამარჯვებულები ითამაშებენ გაისად პეკინის ოლიმპიადაზე.

მეოთხედფინალური ეტაპის განრიგია ასეთია:

**27 აგვისტო.** ურუგვაი-კანადა, არგენტინა-ვენესუელა, ბრაზილია-პუერტო რიკო, აშშ-მექსიკა;

**28 აგვისტო.** ვენესუელა-ურუგვაი, კანადა-არგენტინა, მექსიკა-ბრაზილია, პუერტო რიკო-აშშ;

**29 აგვისტო.** კანადა-მექსიკა, ვენესუელა-პუერტო რიკო, არგენტინა-ბრაზილია, ურუგვაი-აშშ;

**30 აგვისტო.** მექსიკა-ვენესუელა, ბრაზილია-ურუგვაი, პუერტო რიკო-კანადა, აშშ-არგენტინა.

ნახევარფინალები 1 სექტემბერს გაიმართება, ფინალი - 2 სექტემბერს.

### A ჯგუფი

**25 აგვისტო**

**პუერტო რიკო-ურუგვაი 79:82**

17:15, 31:14, 13:24, 18:29

**პუერტო რიკო:** ბარეა (18), აიუსო (15), არეიო (14), რეიესი (10+12 მ).

**ურუგვაი:** ბატისტა (34+15 მ+4 ჩ), მაზარინო (18+4 პ), მარტინესი (10).

**არგენტინა-მექსიკა 104:83**

23:23, 28:18, 32:18, 21:24

**არგენტინა:** დელფინო (20+11 მ+5 პ+3 ჩ), კინტეროსი (18), გუტიერესი (14), სკოლა (11+8 მ+5 პ), პრიჯიონი (11+4 ჩ).

**მექსიკა:** კასტრო (24), რეიესი (10).

**26 აგვისტო**

**ურუგვაი-მექსიკა 91:82**

19:25, 27:14, 18:28, 27:15

**ურუგვაი:** მაზარინო (36), ბატისტა (25+15 მ), ოსიმანი (10+7 პ).

**მექსიკა:** ბეკი (28), რეიესი (10+7 მ), აგირე (10+12 მ).

**არგენტინა-პანამა 109:92 (ოტ)**

30:18, 13:18, 16:27, 26:22, 24:7

**არგენტინა:** კინტეროსი (22), სკოლა (20), დელფინო (19).

**პანამა:** ფორბსი (29), ლორედა (21).

*სატურნირო მდგომარეობა: არგენტინა - 8 ქულა (4 მატჩი); ურუგვაი - 7 (4); პუერტო რიკო - 5 (4); მექსიკა - 5 (4); პანამა - 5 (4).*

### B ჯგუფი

**25 აგვისტო**

**ბრაზილია-ვირჯინიის კ-ები 93:89**

25:23, 16:25, 31:15, 21:26

**ბრაზილია:** ბარბოსა (36), მაჩადო (16+7 მ+5 პ+3 ჩ), ნენე (10+9 მ), სპლიტერი (10+5 მ).

**ვირჯინიის კ-ები:** ვიქტორი (25+5 მ+3 ჩ), ედვინი (17), ჰეივუდი (16+5 მ), შეპარდი (12+5 მ).

**აშშ-კანადა 113:63**

28:21, 37:13, 30:15, 18:14

**აშშ:** ენტონი (25), რედი (19), ბრაიანტი (15), სტაუდმაიერი (12), ჯეიმსი (10+8 მ+4 პ), პრინსი (10), მილერი (10).

**კანადა:** ფამუტიმი (17), კენდალი (10+9 მ).

**26 აგვისტო**

**ვენესუელა-ვირჯინიის კ 100:90**

18:16, 19:17, 35:26, 28:31

**ვენესუელა:** რომერო (29+10 მ+8 პ), ბარიოსი (18), ვასკესი (18+8 მ+10 პ).

**ვირჯინიის კ-ები:** ედვინი (32), შეპარდი (15+4 პ), ვიქტორი (11+6 მ+6 პ+3 ჩ), ჰეივუდი (11).

**აშშ-ბრაზილია 113:76**

27:21, 30:17, 39:11, 17:27

**აშშ:** ჯეიმსი (21+5 პ), ენტონი (21+10 მ), ბრაიანტი (20), რედი (16), სტაუდმაიერი (11+5 მ).

**ბრაზილია:** სპლიტერი (13+9 მ), გარსია (10).

*სატურნირო მდგომარეობა: აშშ - 8 ქულა (4 მატჩი), ბრაზილია - 7 (4), კანადა - 6 (4), ვენესუელა - 5 (4), ვირჯინიის კ-ები - 4 (4).*

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა:** ესტებან ბატისტა (ურუგვაი) - 23.0

**მოხსნა:** ესტებან ბატისტა (ურუგვაი) - 14.5

**პასი:** პაბლო პრიჯიონი (არგენტინა) - 6.8

აშშ-ბრაზილია. კობის სლემ-დანკი


## სპორტული ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანიზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კოტა ხატისაშვილი**
**გესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით ბეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხოფასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე**
(დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაგიძე,**
**ქეთევან დიდგორიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**გაჟარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილავა (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართი
**ახმეტელის 10ª,**
**0159 თბილისი**
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ტელეფონი:** 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
**ფაქსი:** +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX


**გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა**